# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 26 აპრილი, 2013 წელი.

№78 (7205)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებრივი სიცოცხლეა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ილია მეორე: პოლიტიკური პარტიები იმდენად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ საქართველო დაავიწყდათ



2

## ...ავს სახელად რა დავარქო?

მარტო დეპუტატობის დემაგოგ კანდიდატს კი არა, მთლიანად ამგვარ გნაცმოძრაობას უნდა მოვთხოვოთ ხალხისთვის გოდიშის მოხდაც და კანონის წინაშეც მთელი სისრულით ვაგებინოთ პასუხი!



2

## სააკაშვილის ბავშვური და უშნო ახირება,

რაც, თუ გაატანინეს, ქვეყანას პრობლემებს შეუქმნის

4

## თბილისი მოსკოვთან პრაგმატული ურთიერთობის დამყარებითაა დაინტერესებული

8

## „დალამდებოდა თუ არა, მოვიდოდა კატაფალკა და მიასვენებდა გარდაცვლილს“

9



## აქა ამბავი ძველი „რესპუბლიკისა“...

3



## გენეტიკური რღვევა – საზარელი მოვლენა

5

## საქართველოს ყველა გამომგონებელსა და რაციონალიზატორს!

გილოცავთ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეს, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება 26 აპრილს.

ეს დღე იძლევა ინოვაციების მნიშვნელობის ხაზგასმისა და საზოგადოების სრულყოფის საშუალებას ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. პატენტები, დიზაინი, სასაქონლო ნიშნები, საავტორო და მომიჯნავე უფლებები, როგორც შემოქმედების და ცოდნის შედეგი, წარმოადგენს ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობის მძლავრ იარაღს. ამიტომაც ვუსურვებთ ჩვენს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს წარმატებებს შემოქმედებით წინსვლაში.

საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების პრეზიდიუმი

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..


PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

⊙ შეხვედრა

## ილია მეორე: პოლიტიკური პარტიები იმდენად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ საქართველო დაავიწყდათ

**სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები დასაშვებია, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ უკან ჩვენი ერი, ჩვენი სამშობლოა, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ყოვლადწმინდა სამების ახალგაზრდულ ცენტრში, ახალგაზრდული პარლამენტის წევრებთან შეხვედრისას განაცხადა.**



**უწმინდესმა ახალგაზრდები დალოცა და მათ ქადაგებით მიმართა.**

**„ნამდვილად ისტორიული დღეა, რომ ახალგაზრდა ადამიანებმა დააარსეს პარლამენტი“,** — აღნიშნა პატრიარქმა და მიმართა ახალგაზრდებს, რომ ეს მათთვის არა მარტო დიდი პატივი, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც არის ღვთისა და ერის წინაშე.

**„ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ღვთის წყალობაზე, ღვთის ნებაზე. ამიტომ ჩვენი ენერგია უნდა დავუახლოვოთ ღვთის მადლს, ენერგიას, უნდა მოხდეს სინერგია. თუ ჩვენი ენერგია ღვთის ენერგიას დაშორდება, ჩვენ სიკეთეს კი არა, ბოროტებას მოვუტანთ ჩვენს ქვეყანას, ამიტომ ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ერთი დიდი მეცნიერი ამბობს, ჩვენ აღარ გვყავს ფილოსოფოსები, მხოლოდ კრიტიკოსები დარჩნენ. ადვილია კრიტიკა, მით უმეტეს სხვა ადამიანების. მე მინდა, გითხრათ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენს მოღვაწეობას, თუ თქვენ გექნებათ კავშირი უფროს თაობასთან“,** — აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა ბრძანა, რომ ჩვენ დღეს ძალიან რთულ დროში ვცხოვრობთ, როდესაც ჩვენ მივედით თითქმის უფსკრულთან და ამ უფსკრულიდან გამოგვაცილა უფალმა, ამით მოგვცა იმედი კეთილისმყოფელობის.

პატრიარქმა მიმართა ახალგაზრდა პარლამენტარებს, რომ უნდა ისწავლონ ერთმანეთის მოსმენა, რადგან ყველაზე დიდი ნაკლი, რაც ქართველებს გვაქვს, არის ის, რომ ჩვენი ნათქვამი ერთადერთ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია და სხვებს არ ვუსმენთ.

**„ჩვენ უნდა მოვუსმინოთ სხვებს და ვაკეთოთ ისე, როგორც ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ. ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა, შეგახსენოთ, იქონიეთ კავშირი უფროს თაობასთან“,** — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა განაცხადა, რომ ახალგაზრდა თაობა ხშირად აკრიტიკებს მშობლებს, ახლობლებს, ხელისუფლებას, მაგრამ როდესაც თვითონ იწყებს ცხოვრებას, ამ რთული გზის გავლას, თვითონვე ხდება ისეთი, როგორც მისი მშობლები და უფროსი თაობა იყო, თავად ხდება მედროვე. უწმინდესმა მიანიშნა ახალგაზრდებს, რომ ამასთან დაკავშირებით ფრთხილად უნდა იყვნენ.

**„ბოლო დროს წინა პლანზე წამოიჭრა პოლიტიკური პარტიების როლი, იმდენად დაუპირისპირდნენ ეს პარტიები ერთმანეთს, რომ დაავიწყდათ საქართველო. სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულება დასაშვებია და ასეც უნდა იყოს, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენს უკან ჩვენი ერი, ჩვენი სამშობლოა. მე მიმაჩნია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ბრძენია და უფრო ღრმად შეხედავს ამ პრობლემას, რომლის წინაშეც ვდგავართ. ხშირი შემთხვევაა, რომ ადამიანი, სახელმწიფო ხშირად გადადგამს უკან ნაბიჯს, მაგრამ სულ უკან სვლა დაუშვებელია, ჩვენ უნდა ვიაროთ წინ, ეს არის ღვთის ნება. მაცხოვარი ჩვენი ამბობს: „იყავით სრულყოფილი, ვითარცა მამა თქვენი სრულყოფილ არს“, ეს არის მითითება იმაზე, რომ სრულყოფა დაუსრულებელია, ადამიანი ვერასდროს ვერ გახდება ისეთი, როგორიც მამაზეციერია, მაგრამ სრულყოფა დაუსრულებელია ორთავ სოფელსა შინა. მე გისურვებთ, რომ გქონდეთ თქვენ მტკიცე სარწმუნოება, მართლმადიდებელი“,** — ბრძანა უწმინდესმა ახალგაზრდა პარლამენტარებთან შეხვედრაზე.

უწმინდესმა უსურვა ახალგაზრდებს მშვიდობა, სიყვარული, სიხარული და თავმდაბლობა, რადგანაც, პატრიარქის თქმით, უფალი თავმდაბალთ მიანიჭებს მადლს.

პატრიარქმა ახალგაზრდა პარლამენტარებს საჩუქრად მაცხოვრის ხატი და ღვთისმშობლისგამოსახულებიანი მედალიონები გადასცა.

2013 წლის მოწვევის საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის ოფიციალური გახსნა და პირველი სხდომა 2 მაისს ქუთაისის პარლამენტში გაიმართება. მას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უმასპინძლებს.

⊙ მთავრობა

## გადაწყვეტილებების მიღებამდე ინფორმაციის სრულად შესწავლაა საჭირო

**ძველი, დაკარგული ანაბრების თემაზე მთავრობა ინფორმაციის სრულად შესწავლამდე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, — ამის შესახებ მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.**

მისი განმარტებით, სახელმწიფო საშინაო ვალთან დაკავშირებით, არსებობს სპეციალური კომისია, რომელიც ანაბრების რაოდენობის დადგენაზე მუშაობს.

— ეს არის ძალიან რთული და კომპლექსური თემა. დაკარგულია



ძალიან ბევრი ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება დავეყრდნოთ, შესაბამისად, ვიდრე ზუსტი ცნობები არ გვექნება, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება მთავრობის მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნება. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ ამ საკითხზე. ეს არის სახელმწიფოს საშინაო ვალი, რომელიც სახელმწიფოს აღიარებული აქვს, ჩვენ ამ ვალის რაოდენობის დადგენაზე ვმუშაობთ, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

ინტერპრესი

⊙ როგორც იქნა!

# ...ავს სახელად რა დავარქო?

## მარტო დეპუტატობის დემაგოგ კანდიდატს კი არა, მთლიანად ამგვარ გნაცმოძრაობას უნდა მოვთხოვოთ ხალხისთვის ბოდიშის მოხდაც და კანონის წინაშეც მთელი სისრულით ვაგებინოთ პასუხი!

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში — „უფასო პოლიტიკური... პროსტიტუცია“ — ვწერდი, რომ გნაცმოძრაობა შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში თავისი დეპუტატობის კანდიდატთა მხარდასაჭერ რეკლამებში ჩვეული უტიფრობა-დემაგოგიით განაგრძობს ხალხის დაბოლებას, შავის თეთრად გასაღებას თუ სხვა უკეთურობებს.**

და ვსვამდი, ჩემი აზრით, ლოგიკურ კითხვას: თუ მათი დემაგოგია მართალია, მთავრობიდან რად არ გვეუბნებიან, რა კეთდება მდგომარეობის გამოსასწორებლად, **ხოლო** (ვციტირებ გუშინდელი პუბლიკაციიდან — **რ. რ.**) **თუ ასე არ არის** (რომ არ არის, ფაქტია, რადგან, ასე რომ იყოს, ამის სუსხ-სიმწარეს უთუოდ საკუთარ თავზე ვიგრძნობდით!), **ამას რატომ არავინ არ აპროტესტებს დღევანდელი მთავრობიდან?“**

და აი, როგორც იქნა, მასმედიით მოვისმინეთ მთავრობის წარმომადგენლის, ამ შემთხვევაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განცხადება, რომლითაც...

თუმცა, სჯობს, სრულად შემოგთავაზოთ ეს განცხადება:

**„გუშინ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თოქ-შოუ „პოზიციაში“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა პაპუნა დავითაიამ განაცხადა, რომ შეჩერდა მნიშვნელოვანი პროექტები, გზებისა და ხიდების მშენებლობა, რამაც უმუშევართა რაოდენობა გაზარდა.**

**სამწუხაროდ, პაპუნა დავითაიამ, ისევე, როგორც მთლიანად ნაციონალურმა მოძრაობამ, საარჩევნო კამპანია სიცრუეზე ააგო. გუშინ ტელეკომპანიის ეთერში მის მიერ გაკეთებული განცხადება არის სიცრუე და მას არსებულ რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. სინამდვილეში, ეს არის დამარცხებული ძალის რიტორიკა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდი სისტემატურად მიმართავს და საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად.**

**მოვუწოდებთ დავითაიას, თუ რეალურად აინტერესებს, რა პროექტები ხორციელდება მიმდინარე წელს, რეალურად გაჩერდა თუ არა რომელიმე პროექტი, მობრძანდეს სამინისტროში, ან ეწვიოს ჩვენს ვებგვერდს, მოიპოვოს სრული ინფორმაცია და, რაც მთავარია, მოიხადოს ბოდიში მის მიერ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის გამო.**

**აქვე, ინფორმაციის სახით, ვაქვეყნებთ სამინისტროს საქმიანობის პირველი კვარტალის შედეგებს და ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას — 2012 წლის ამავე პერიოდის მდგომარეობის შედარებით ანალიზს. ყველა ამ მონაცემის გადამოწმება ნებისმიერ მოქალაქეს უმარტივესად შეუძლია:**

**მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მაჩვენებელი 36%-ით აჭარბებს 2012 წლის ამავე პერიოდში დაფიქსირებულ მონაცემებს.**

**გაწეული ხარჯების საკასო შესრულება 2013 წლის პირველ კვარტალში შეადგენს 87 118 615,0 ლარს, მაშინ, როცა 2012 წლის პირველ კვარტალში 55 349 347,16 ლარს შეადგენდა.**

**შესაბამისად, წლევანდელი მაჩვენებელი 31 769 267,84 ლარით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.**



**ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე დაიხარჯა. 2013 წლის პირველ კვარტალში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დაიხარჯა 64 814 793,2 ლარი, მაშინ, როცა 2012 წლის ამავე პერიოდში 28 661 203.0 ლარი იყო დახარჯული.**

**შესაბამისად, ამ მიმართულებით დაფინანსებულია 115%-ით მეტი ღირებულების პროექტი, ვიდრე 2012 წლის ამავე პერიოდში დაფინანსდა.**

**მზარდი მაჩვენებელი დაფიქსირდა გზების მოვლა-შენახვაზე დახარჯული თანხების მიმართულებითაც. ეს თანხა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 23 734 007,65 ლარს შეადგენს, რაც 65,7%-ით აღემატება ამავე მიზნით 2012 წლის I კვარტალის საკასო ხარჯების მაჩვენებელს.**

**ინტენსიურად მიმდინარეობს ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა. ამ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ავტომაგისტრალის სამ მონაკვეთზე.**

**პირველი კვარტალის მონაცემებით, ავტომაგისტრალის მშენებლობის მიმართულებით დაფინანსებულია 170%-ით მეტი ღირებულების სამუშაო, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში დაფინანსდა (2013 წელი — 39, 910,969,30 ლარი; 2012 წელი — 14,748, 481,40 ლარი).**

**ზემოთ მოყვანილი ციფრები ნათლად ცხადყოფს, რომ, 2012 წელთან შედარებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წელს ყველა მაჩვენებელში მზარდი მონაცემი აქვს.**

არის კი რაიმე კომენტარი საჭირო?

ვგონებ, არა, გარდა იმის აღნიშვნისა, რომ განცხადებაში ხაზგასმები ჩვენია, მაგრამ ორიოდ სიტყვას მაინც ვიტყვი:

**ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელი რა დავარქო?** — ჭეშმარიტად კარგად აქვს ნათქვამი პოეტს.

თავს უფლება მივეცი, ამ კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, ასე გადამეკეთებინა ეს ფრთიან ფრაზად ქცეული სტრიქონი:

**კარგს** („ოცნების“ კეთილ საქმეებს — **რ. რ.**). **თუ კარგი არ ვუწოდო, ავს** (სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულ გნაცელს და, საერთოდ, გნაცმოძრაობას — **რ. რ.**) **სახელად რა დავარქო?**

და ერთიც: გუშინდელ პუბლიკაციაში დასმული კითხვის შემდეგ — განაცელთა ამ ტყუილებს მთავრობიდან რატომ არავინ არ აკრიტიკებს-მეთქი, ვწერდი: **„მართალია, შესაძლო მხილებით „გნაცელ“ დემაგოგებს ნირიც არ შეეცვლებათ** (გაწითლებისა და, მით უფრო, რამდენადმე მაინც დარცხვენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!), **მაგრამ ეს საზოგადოებისთვისაა საჭირო. იფიქრეთ ამაზე, ბატონებო!“**

ცხადია, არ ვიტყვი, ჩვენი პუბლიკაციის შემდეგ დაფიქრდნენმეთქი, მაგრამ, როგორც იქნა, ბევრ რამეს საკუთარი სახელი დაერქვა და დემაგოგიას ფაქტობრივი, დასაბუთებული პასუხი გაეცა.

კარგია! ასეთი რამ მართლაც გვჭირდება ჩვენ, საზოგადოებას!

**იმედია, მალე სამართალდამცავი ორგანოებიც იტყვიან სათქმელს, რაც „გნაცელ“ დემაგოგებს საკადრისსაც მიუზღავს და ჩვეული უკეთური გზით სიარულის სურვილსაც საბოლოოდაც დააკარგვინებს!**

**ანუ, თუ კიდევ ერთი ფრთიანი ფრაზის პერიფრაზირებით ვიტყვით, კუზიანს მხოლოდ... დაპურებული სამართალი გაასწორებს!**

**რუსლან რუსია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# აქა ამბავი ძველი „რესპუმიცინისა“...

**ხსენებული პრეპარატი, გნებავთ, პოლიტიკური ანტიბიოტიკი, მისი შემქმნელი „მამების“ – ძმები ბერძენიშვილების მტკიცებით, ჯერ კიდევ შორეულ 1978 წელს, „რესპუბლიკური პარტიის“ ეტიკეტით დაუპატენტებიათ საქართველოს პოლიტიკური ფარმაციის სივრცეში.**

**ანუ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში უძველეს-უხუცესობას იჩემებენ. ჰოდა,როგორც იმერეთში იტყვიან ხოლმე, „ისემც დოუმშვენდათ ცხვირი“, როგორც ეს სიმართლეა, რადგან თავად ლევან ბერძენიშვილი აცხადებდა 1984 წლის 6 იანვარს, საქართველოს სუკის იზოლატორში მიცემულ ჩვენებაში (ვციტირებ): „თვითნაბეჭდი ჟურნალი („სამრეკლო“ – დ.მ.) გამოცხადდა არარსებული პარტიის ორგანოდ, ხოლო პარტიას მოეძებნა პომპეზური და პრეტენზიული სახელი „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“...**

აღნიშნული პრეპარატის კლინიკურ-ამბულატორიული გამოცდები გასული საუკუნის 80-ანების ბოლოს დაიწყო და განსაკუთრებით 90-ანების დასაწყისში მიიღო პერმანენტული ხასიათი, რომლის შედეგებმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – რესპუმიცინის ინტენსიური მიღება იწვევს პირღებინებასა და გულძმარვას ყოველგვარი ეროვნულის, ტრადიციულის, მართლმადიდებლურის, ერთი სიტყვით, კაცურის მიმართ და პირიქით, იგი იწვევს ადრენალინის ჭარბ გამოყოფას, ანუ, მდაბიურად თუ ვიტყვით, კაიფს, ყოველგვარი კოსმოპოლიტურის, ლიბერასტულის გაგონებისას!

ამიტომ იყო, რომ რესპები, რბილად რომ ვთქვათ, იმთავითვე კრიჭაში ჩაუდგნენ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას და მიუხედავად იმისა, რომ დღეს იფიცებიან, იარაღი არ გვჭერიაო, ასეც რომ იყოს, მაინც ლომის წილი დაიდეს პირველი პრეზიდენტის დამხობაში!

მაგრამ რატომ ლომის, რას ვერჩით ამ კეთილშობილ ცხოველს? რაც არ უნდა იყოს მეფეა! რესპებს ალბათ, მართლაც, არ აუღიათ ხელში ავტომატი, მაგრამ არა იმიტომ, რომ მხედრიონელ რურუებზე ნაკლებად სწყუროდათ ზვიადის სისხლი, არამედ იმიტომ, რომ ავტომატის სროლასაც ერთი ადგილის ქონა სჭირდება და ამიტომ არჩიეს მოლოდინი სისხლისღვრის დასრულებამდე. და არც შემცდარან: შევარდნაძის პარლამენტში დეპუტატობაც გაიკრეს და, თუმცა სტაბილურად პრაქტიკულად ნულოვანი რეიტინგი ჰქონდათ, მას შემდეგ **ტივტივებენ და ტივტივებენ** ქართულ პოლიტიკაში, ხან ერთ და ხან მეორე პოლიტიკურ ლოკომოტივს ჩაბმულ-ატორღიალებულები!

ეს, რაც შეეხება უშუალოდ რესპუმიცინის მწარმოებელ რესპუბლიკურ პარტიას,ხოლო, რაც შეეხებათ იმათ, ვინაც ნებით თუ უნებლიედ ახლოს გაიარა მათთან, ანუ, ეს „პრეპარატი“ მცირე დოზებით, მაგრამ მაინც მიიღო, მიუხედავად წარსულში დამსახურებებისა, ან მომავალთან დაკავშირებული იმედებისა, განუხრელად და შეუქცევადად დაეწყოთ არსებული პოლიტიკური რეიტინგების ვარდნა!

**პირველი, ვინც ამ მიმართებით მახსენდება, ჩვენი გამოჩენილი რეჟისორი და „ვაზის პარტია,რუსეთთან ერთად“, პოლიტიკური პარტიის შემქმნელი ბატონი გიორგი შენგელაიაა, რომელმაც ერთ „მშვენიერ“ დღეს სპეციალურ ბრიფინგზე რესპუბლიკურ პარტიაში გაწევრებაზე გააკეთა განცხადება!?**

ამის შემდეგ, რაც აზრად მოგივიდოდა ყველა ნორმალურ ქართველს, ეს იყო: სად ვაზი, მით უმეტეს, სად რუსეთი, სად რესპები და შემდეგ, „პიპინიას ბიჭი მაინც არ იყო“-ს მსგავსად, დიდი ნატო ვაჩნაძეც გაგახსენდებოდა. თუმცა ეს გაუგებრობა, საბედნიეროდ, დიდი ხანი არ გაგრძელებულა, რადგანაც რესპუმიცინი, როგორც ჩანს, იდეალური „ანტიბიოტიკი“ ვერ არის და როდესაც გულქართლი კაცი მიიღებს, როგორც ფარმაცევტულ ნაწარმს აწერია, ე.წ. „გვერდითი მოვლენები“ იჩენენ ხოლმე თავს და ეტყობა ბატონ გიორგისაც ალერგია დაემართა და დღეს მხოლოდ ჩემნაირ „ჩასაფრებულ“ ჟურნალისტებს თუღა ახსოვთ ვაჟკაცი კაცის ის „იაღლიში“...

**თითქმის იგივეს თქმა შეიძლება ირაკლი ბათიაშვილზეც, როდესაც მან, ლამის ციხის საკნიდან, პირდაპირ რესპუბლიკელებში დურთა თავი. თუმცა მასაც, როგორც ჩანს, ალერგია დაეწყო, დროზე უშველა თავს და დღეს ისევ ის ირაკლია, 9 აპრილის და, აგერ სულ ახლა, 26 მაისის ერთ-ერთი გმირი, ერთი სიტყვით, ეროვნული კაცი!**

თუმცა, კლასიკური მაგალითი რესპუმიცინის მავნეობისა, მაინც ირაკლი ალასანიას ისტორიაა...

გახსოვთ ალბათ, აგვისტოს ომის შემდეგ, რა იმედით ელოდნენ ალასანიას ამერიკიდან ჩამოსვლას, რადგანაც მიუხედავად ბატონი ირაკლის ამერიკაში ხანგრძლივად ყოფნისა, ქართველი საზოგადოების უმრავლესობას იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს ეროვნული გმირის შვილი ბოლომდე არ გაამერიკელდებოდა. და მართლაც, მამია ალასანიას გმირობის შლეიფთან ერთად, მიშა სააკაშვილზე მაღალი რეიტინგი ჩამოჰყვა ყმაწვილ კაცს, რომლისგანაც ლოგიკურად ელოდებოდნენ მეორე გმირის – ჟიული შარტავას ვაჟთან გაერთიანებას და ორივესგან ერთად, ეროვნული ოპოზიციის სათავეში ჩადგომას. თუ მაინცდამაინც, ეროვნული ლიდერობის მცდელობას მაინც ელოდნენ მისგან, მაგრამ არც ერთი მოხდა და არც მეორე!

მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებად ელოდა და უნდოდა ხალხს – ირაკლი ალასანიამაც რესპუმიცინის მიღება დაიწყო!

**არადა, თავად გახლავართ მოწმე, როგორ აფრთხილებდნენ, ურჩევდნენ ერის მოჭირნახულე კაცები, არამც და არამც არ გაკარებოდა რესპუბლიკელებს, რადგანაც თუ ვინმემ სადმე წინასწარ დაგეგმა (მოდით პირდაპირ ვთქვათ – ამერიკაში) ალასანიას რეიტინგით ამოექაჩათ რესპუბლიკელები, პირიქით მოხდებოდა და მოხდა კიდეც – ჯერ ე.წ. საარჩევნო ალიანსში, შემდეგ, განსაკუთრებით რვიან-ექვსიანში, განუხრელად იწყო რესპუბლიკელების ნულოვანმა რეიტინგმა ირაკლი ალასანიას მაღალი რეიტინგის დაქაჩვა და ბიძინა ივანიშვილის მოსვლისთვის, ბევრად აღარც ირაკლის რეიტინგი აღემატებოდა რესპუბლიკელებისას!**

ისიც გავიხსენოთ თუ რა ფარული დესტრუქციული როლი შეასრულეს რესპებმა 2009 წლის საპროტესტო აქციებისას, რადგან აქციების გზით, ვაი და სააკაშვილი მართლა გადამდგარიყო – ასეთ შემთხვევაში ხომ რესპუბლიკელებს ბუს კვერცხები ერგებოდათ და არა სადეპუტატო მანდატები თუ მინისტრების პორტფელები მომავალ ხელისუფლებაში. ჰოდა, რესპუმიცინით გაბრუებულ ალასანიას ხელით ააშლევინეს საკნები ჯერ ტელესტუდიასთან და შემდეგ, ბაიდენის ჩამოსვლის წინა ღამეს, რუსთაველიც „დაალაგეს“ – ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ალბათ, სიმართლეა მავანი მოწმის ინფორმაცია – თინა ხიდაშელს წამოსცდა, **ღმერთმა ნუ ქნას სააკაშვილი მართლა გადადგესო!..**

ბევრი სხვა რამის გახსენებაც შეიძლება.მაგალითად, იმისა, ლამის ჯვარს როგორ აცვეს ალასანია თინა დეიდამ და დათო ბიძიამ, როგორ თუ ნოღაიდელს ხელი ჩამოართვიო, ან იმას ყოველნაირად როგორ უშლიდნენ ხელს ირაკლის ნინო ბურჯანაძესთან კონტაქტებში და რატომ? იმიტომ რომ ალასანია-ბურჯანაძის შესაძლო ალიანსის შემთხვევაში, რესპები „ნე უ დელ“, ანუ, ულოკომოტივოდ დარჩებოდნენ. სხვათა შორის თითქმის ამავე მიზეზით,ანუ შიდა კონკურენციის შიშით, რომ იტყვიან, დანაზე წამოეხივნენ და ბურჯანაძე ბიძინა ივანიშვილთანაც დაბლოკეს!

სხვათა შორის, დარწმუნებული ვარ, რომ ირაკლი ალასანიას ვიცესპიკერის პოსტიდან, მოულოდნელი ჩამოლაბორანტებაც რესპების მეცადინეობის გარეშე ვერ იქნებოდა, რადგანაც ჯერ ერთი ბიძინას კარზე პრემიერის აშკარა ფავორიტი ჩამოიშორეს და მეორე, იმის მიუხედავად, რომ ბოროტი ენები ირწმუნებიან, ალასანიაც კარგად ჰყავთ დასავლეთში „დაჭედილიო“, დიდი ალბათობით, კრიტიკულ დროს ირაკლიში გენეტიკური კოდი მაინც იმძლავრებდა და მამია ალასანიას მემკვიდრე ეროვნულ ინტერესებს ვერ უღალატებდა!

**ყველაზე დიდი შეცდომა ირაკლისა, რაც ისევ და ისევ რესპუმიცინის გამო მოუვიდა ის არის, რომ 26 მაისის ღამეს რუსთაველზე არ მივიდა!**

უკვე მეორედ ვახსენე ბატონი ივანიშვილი და ახლა ორიოდ სიტყვა ამ მიმართებითაც – რომ არა ბიძინა ივანიშვილი, პოლიტიკურ მორგში მყოფი რესპუბლიკელები უკვე კაი ხნის გასვენებულები იქნებოდნენ და იმის მაგივრად, რომ ახლა მაგათი ორმოცის ან წლისთავისთვის ვეძებდეთ დარბაზს, პარლამენტს მართავს ეს მარად ურეიტინგო ხალხი!



უფრო მეტიც, სადმე ისეთ ეთერში თუ სხედან, სადაც სატელეფონო ზარები შესდით და როგორც წესი ლანძღავენ, მაინც ყინჩად, დიახაც ასეა და ასევე გავაგრძელებთ, ამ ტონში უპასუხებენ!

სოციალურ ქსელში ხმის ამოღება თუ გაბედეს, იმხელა და იმდენი აგრესია ატყდებათ თავს, რომ თავქუდმოგლეჯილები „გარბიან“ ფეისბუკიდან!

**„ეს ურაპატრიოტების სასტავი არჩევნების წინ ფიქრობდა, ბიძინას რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები ამერიკელების დასაბოლებლად სჭირდება, მაგრამ ხელისუფლებაში რომ მოვა, მერე მაგათ გაყრის და ჩვენ მოგვიყვანსო. ჰოდა, ახლა ნელ-ნელ რწმუნდებიან, რომ თურმე ასე არ ყოფილა. არადა, რომ იცოდნენ, მე თვითონ გავავრცელე ის მესიჯი, წყნარად რომ ყოფილიყვნენ არჩევნებამდე და ხელი არ შეეშალათ“, –** წერს რესპების იდეოლოგიური მდივანი დავით ზურაბიშვილი ფეისბუკის საკუთარ გვერდზე!

ანუ, ეგ „პარაშა“ მე შემოვაგდე თქვენთვის, ურაპატრიოტებოო, ჩვენზე ამბობს.

არა სოციალურ-ეკონომიკური დაპირებების, არამედ ყბადაღებული კოჰაბიტაციის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ პარლამენტიდან ხალხისთვის სასურველი რეაქციები არ ჩანს ბათუმის მეჩეთი იქნება ეს, სომხური ენის სტატუსი, ქართული მიწების გასხვისება თუ უფრო შორეული, მესხეთელი თურქების შესაძლო ჩამოსახლება და ჩინური ქალაქის მშენებლობა, ჯერჯერობით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შეურყია ავტორიტეტი ბიძინა ივანიშვილსაც. ეს „უმნიშვნელოდ“კი იმიტომ, რომ „ურაპატრიოტები“ ვხვდებით – ბიძინას ჩვენი შველა უნდა გარედან. საშველი კი სწორედ ზურაბიშვილისნაირთა მოშორებაშია.

**სხვათა შორის, მესამე ძალის შესახებ ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელ განცხადებას, სწორედ ის დატვირთვა ჰქონდა, რომ მას მართლაც უნდა გარედან დახმარება. ის კი, რომ მის მიერ დასახელებული პარტიებიდან, მხოლოდ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ მონაწილეობს შუალედურ არჩევნებში, ამ ეტაპზე სწორედ ამ პარტიის პერსონალურ მხადაჭერას ნიშნავს პრემიერისგან. სულ ახლახანს შექმნილი პარტიისა, რომელმაც უკვე მოახერხა და ქუთაისის საკრებულოში ნაცების უმრავლესობა დაშალა და „ხვალ“ იგივე ელის რიგ საკრებულოებსაც!**

დღევანდელ პარლამენტში, რა თქმა უნდა, არიან და მრავლადაც, ეროვნულად მოაზროვნე ცალკეული დეპუტატები, მაგრამ ისევ და ისევ დაწყევლილი რესპუმიცინის გამო, როგორც იტყვიან, ამინდს ვერ ქმნიან. იმ პოლიტიკურ ველზე, სადაც შუა გაიკრიფა, და თუ პირველ ყლორტად პატრიოტთა კანდიდატი სოსო მანჯავიძე „აღმოცენდა“, ვფიქრობ ციხის კადრების ერთ-ერთი ავტორი იქნება ის დეპუტატი, რომლის გარშემოც დაირაზმებიან ის ეროვნულად მოაზროვნე დეპუტატები

სხვანაირად შეუძლებელია, რადგანაც ვის, ვის და ბიძინა ივანიშვილს კარგად მოეხსენება „ნატო- ნატოს“ ძახილის უტოპიურობა. თუ ნატო-მაინცდამაინც მთლად უტოპია არ არის, ის ხომ ცხადზე უცხადესია, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გასაღები, ევროკავშირ-ნატოს ბრიუსელში, ან ვაშინგტონის თეთრ სახლში კი არა, მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვის კრემლშია!

ამ ყველაფერს ვერც ხმამაღლა იტყვის პრემიერი და ვერც „დაგუდულად“, ვიწრო წერში, რადგან იმ ვიწროშიც ამერიკის მსტოვრები ჰყავს და ამიტომაც მას მართლაც სამართებლის პირზე უწევს სვლა – ბოლოს და ბოლოს, ბადრი პატარკაციშვილის ტრაგიკული მაგალითი წინ უდევს...

## იქ, სადაც ქართველთა სისხლი დაღვარეს...

**თითქოს აღარაფერი უნდა გვიკვირდეს ე.წ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან, რადგანაც 9 წლის მანძილზე, როგორც ხელისუფლებამ, ყველაფერი უკეთურობა იკადრა. ხოლო 1 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც ქართველმა ხალხმა მათ შიზოიდ ფიურერს მიშა სააკაშვილს და მის რაიხსფიურერებს ის ცოცხის ტარი გაუკეთა, რომლითაც მთელი საქართველო გააუპატიურეს, გაოპოზიციონერებულმა ფაშისტებმა კოჰაბიტაციის რეჟიმში ხომ თავხედობის და ცინიზმის ყველა რეკორდი მოხსნეს!**

მაგრამ ასეთი? რა პროგნოზები აღარ კეთდებოდა 2 თვის წინათ დაანონსებული 19 აპრილის მიტინგის გამო. ლამის არმაგედონ-აპოკალიფსს წინასწარმეტყველებდნენ მავანნი, მაგრამ ამათ უარესი მოიფიქრეს – **ახალ ეროვნულ მოძრაობას ვიწყებთო,** გაგონილა კაცო!?

საერთოდ, როგორ ბედავენ ეს მანქურთები სიტყვა „ეროვნულის“ ხსენებას, როცა სწორედ ეროვნულს, ტრადიციულს, ანუ, დიდი ილიას მიერ ანდერძად დატოვებულ „მამული, ენა, სარწმუნოებას“ ებრძოდნენ შეფარვითა თუ აშკარად; **ყოველივე ქართულის ამოსაგდებად, ქართველი კაცის მენტალიტეტის შესაცვლელად, ახალი ქართველის „გასაკეთებლად“ იყვნენ მოვლენილნი ოკეანეს გაღმიდან და აკი ნაწილობრივ მოასწრეს კიდეც დავალების შესრულება** – 20 % ჩვენი ძირძველი ტერიტორიებისა ოკუპირებულია, ხოლო დანარჩენის კოლონიზაცია აგერ ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს: ინდოელების, არაბების, ჩინელების, თურქების თუ სხვა გადამთიელების ჩამოთესლებით, მათთვის სახნავ-სათესი მიწების მიყიდვის მეშვეობით; 9 წლის მანძილზე, როგორც მინიმუმ ჩვენი შვილების ერთი თაობა მაინც გადააკეთეს „ახალ ქართველებად“ პატრიოტთა ბანაკებში და მის მიმდებარე ბუჩქებში!

ახლა ვიცი, ამის თქმის გამო, ე.წ. უფლება დამცველები გამომიხტებიან ლაჯებში მეზობლის კურდღელივით და დაიწყებენ რატრატს: ქსენოფობია, ჰომოფობია, სიძულვილის ენა და ა.შ. მსგავსი ლიბერასტული მიეთ-მოეთი, მაგრამ რა ვქნა? **ის „სიძულვილი“ ჩემი სამშობლოს სიყვარულიდან მოდის!** სამშობლო, რომელიც ამ მანქურთებმა ბითუმად გაგვიყიდეს და ზემოთ ამიტომ დავსვი რიტორიკული კითხვა, როგორ ბედავენ სიტყვა „ეროვნულის“ ხსენებას-მეთქი?..

თანაც სად? სადაც გასული საუკუნის მიწურულს მართლაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო; სადაც ახლაც კი, როდესაც რუსთაველზე ჩავივლი, თითქოს იმ დროის „ლანდები მელაციცებიან“, თითქოს კვლავ მესმის იმ 9 აპრილის (რომლის უშუალო მონაწილეც გახლავართ – **დ.მ.**) უსინათლოთა განწირული „დაუკარით“ და მერაბ კოსტავას გრგვინვა – „ეს წამი ერთ-ერთი უდიდებულთაგანია“...

**თანაც ვინ? გიგა ბოკერია, მიშა სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და ა.შ. ვინც 26 მაისს იმ წმინდა ადგილზე ქართველების სისხლი დაღვარეს...**

> **„მე ძალიან ხშირად მიწევს იმის თქმა, განსაკუთრებით აქეთ ყოფნისას, ევროპაში, ამერიკაში, რომ ნაციონალური მოძრაობის, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა. რაც არ უნდა გამიბრაზდნენ ახლა ქართველი მსმენელები, რომლებიც თვლიან, რომ ნაციონალური მოძრაობა გადასარჩენი კი არა, გასასამართლებელი და ასაკრძალია, მე ამას კიდევ ვიმეორებ და ყველას ვურჩევ, რომ კარგად დავუკვირდეთ, რაზეა აქ საუბარი: ნაციონალური მოძრაობა, როგორც კოლექტიური დამნაშავე პოლიტიკური ძალა, ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებში და ასე შემდეგ – თუ ჩვენ ასე შორს წავედით, მაშინ ჯობია დავიწყოთ ჯერ კომუნისტური პარტიით (ნაცების ეროვნულობის არ იყოს, რა პირით ახსენებს კომუნისტებს, როცა 9 აპრილის მეორე დღეს, როდესაც პარტიის წევრები მასობრივად ხევდნენ მანდატებს, გაწევრიანდა მაშინ ჯერ კიდევ ყმაწვილი დავით უსუფაშვილი კომუნისტურ პარტიაში? – დ.მ.), მერე მივაყოლოთ მრგვალი მაგიდა, მოქალაქეთა კავშირი, აღორძინება, ნაციონალური მოძრაობა, და ყველა ერთად ავკრძალოთ, გავაუქმოთ და ა.შ.“**

**აი, რა ბრძანა ბატონმა დავით უსუფაშვილმა ჩეხეთში (რადიო „თავისუფლება“. 2013 წლის 17 აპრილი, პრაღა).– არა ბატონო, ეგ ქართული დემოკრატიის კი არა(მით უმეტეს ქართველი ხალხის, რომელიც მართლაც გაბრაზდა), პირადად რესპუბლიკური პარტიის ამოცანაა, რადგანაც მეცოცხე ნაცების ფონზე რესპუბლიკელებიც კი, შედარებით სიმპათიურად გამოიყურებიან. თუმცა, არც იმდენად, რაც ამ ჩვენი ცოდვით სავსე ლუის ნავარომ დაუწერა რეიტინგად – ქმარს 66, ხოლო ცოლს 59%.**

ისემც კარგი დაგემართოთო, ამაზეა ნათქვამი...

NDI-ს რეიტინგები ვახსენე და ადრე, 1 ოქტომბრამდე თუ ნავარო ქართული ოცნების, ანუ, საქართველოს, ქართველი ხალხის წინააღმდეგ მუშაობდა და ნაცების რეიტინგებით გვაოცებდა, ახლაც იგივეს სჩადის – რადგანაც მისი ბოსების სამწუხაროდ, ნაცების უმრავლესობაში ყოფნა ველარ გაგრძელდა, ახლა ნავარო გამალებით მუშაობს, რათა როგორმე „გაუპრავოს“ ნაცებს მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი და, როგორც იტყვიან, ამ ოპერიდან არის მეცოცხეთა პარტიის 53% და დავით ბაქრაძის 47-იც.

## ნაცების გეიპარადი რუსთაველზე!

**დღეს ბევრს ლაპარაკობენ, რამდენი ხალხის მიყვანა შესძლეს ნაცებმა „ცოცხზე კაცის“ აქციაზე. გააჩნია ვინ, მაგრამ ყველა სათავისოდ ითვლის.**

ამიტომ მარჩიელობას ვერ დავიწყებ და როგორც თვითმხილველი ვიტყვი – პოლიტიკური პარტიისთვის, მით უმეტეს ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყებისთვის ნამდვილად ცოტანი იყვნენ, მაგრამ პედერასტების აღლუმისთვის ბევრზე ბევრი მეჩვენა!

ისე, ცნობისათვის – ნაცგეი პარადის დასრულების შემდეგ, ვიღაცის ფოტოობიექტივმა ჩვენი გაბადრული პრეზიდენტი და ევროკავშირის დროშაშემოხვეული ცნობილი „ქათამი“, ანჟელა მაზმანიანი დააფიქსირა მიშასთან ჩახუტებული.

**ალბათ, როგორც სიმბოლო, საქართველოს ევროპული არჩევანისა...**

**დავით მხეიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ კანონმდებლები



# სააკაშვილის ბავშვური და უშნო ახირება

## რომელიც, თუ გაატანინეს, ქვეყანას პრობლემებს შეუქმნის

**პარლამენტში მომავალ სასესიო კვირას, პრეზიდენტის ვეტოდადებულ კანონპროექტებზე იმსჯელებენ. მმართველი ძალა შენიშვნების მიმართ უკვე სკეპტიკურად არის განწყობი და ვეტოს დაძლევისთვის ემზადება, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ვეტოს დაძლევას 89 ხმა სჭირდება, უმრავლესობას უკვე, მეორედ, იმ დეპუტატთა მობილიზაცია და დახმარება დასჭირდება, რომელთაც „ნაციონალური მოძრაობის“ რიგები დატოვეს.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი ანდრო ბარნოვის განცხადებით, იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, სააკაშვილის გადაწყვეტილებას საფუძვლად ის გარემოება დაედო, რომ პარლამენტმა უგულებელყო ვენეციის კომისიის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული პოზიცია, რომლის მიხედვითაც, იუსტიციის საბჭოების მნიშვნელოვანი ფუნქციაა მოსამართლეების დაცვა პოლიტიკური ზეგავლენისგან.

რაც შეეხება მეორე კანონპროექტს, მასზე ვეტოს დადების მიზეზად დასახელდა ის, რომ მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებასთან დაკავშირებით, პროექტი დამატებით რისკებს შეიცავს.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, ვენეციის კომისიის პრეზიდენტი საქართველოს სასამართლო სისტემის რეფორმას მიესალმება.

როგორც ჯანი ბუკიკიომ სტრასბურგში, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, სასამართლო რეფორმა იყო ძალიან კარგი ინიციატივა, რომლის მიზანიც სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდაა. და რომ ყველაფერი კარგი მიმართულებით მიდის.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტი ვეტოს წარმატებით დასძლევს.

**„არგუმენტი მიხეილ სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვთ, გარდა იმისა, რომ მათ არ სურთ, შეიცვალოს მდგომარეობა სასამართლოებში. სასამართლოებში მდგომარეობა უკეთესობისკენ და მოსამართლეების მეტი დამოუკიდებლობისკენ შეიცვლება, რაც ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს სჭირდება“, —** აცხადებს სპიკერი.

როგორც **for.ge**-ს უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ცაგარეიშვილმა განუცხადა, პროექტებზე ვეტოს დადება, ეს სასოწარკვეთილი ადამიანის გადაწყვეტილებაა, რომელიც ხავსს ეჭიდება.

**„წინა ხელისუფლებას სასამართლო დამონებული ჰყავდა და ამის მოთავე სააკაშვილი გახლდათ. მას ეს ინსტიტუცია ხელიდან ეცლება, რაც სააკაშვილისთვის და მისი პოლიტიკური გუნდისთვის მძიმე გადასატანია. ვეტოს გამოყენება სააკაშვილის ბავშვური და უშნო ახირებაა. ის ყველაფერს აკეთებს, რომ პრობლემები შეგვიქმნას, მაგრამ იმას ვერ ხვდება, რომ ამით პრობლემებს ქვეყანას უქმნის“, —** აცხადებს დეპუტატი.

კანონმდებელის თქმით, კანონის ძალაში შესვლას მოსამართლეები ელოდებიან, რათა მათ იუსტიციის საბჭოში ასარჩევად ღირსეული კანდიდატები წარადგინონ.

„ნაციონალური მოძრაობა“ კი ვენეციის კომისიისგან განსხვავებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტს კვლავ აკრიტიკებს.

**თეონა მანაგაძე**

◉ ვაი პარკირებისგან!

# „ოღონდაც მანქანა გავიტაცოთ, ყველაფერს ვკადრულობთ“

**„სითი პარკის“ თანამშრომლები მონური მოპყრობის გამო უკვე 15 დღეზე მეტია გაფიცულები არიან. ამ ხნის განმავლობაში ქალაქში ევაკუაცია არ განხორციელებულა. სამაგიეროდ, „სითი პარკის“ თანამშრომლებზე მუქარის ფაქტებმა იმატა. მათ უმრავლესობას დაურეკეს და ოჯახის წევრების სამსახურიდან დათხოვნით დაემუქრნენ. კორპორატიული შიდა ტელეფონები კი გაუთიშეს, რომ ერთმანეთს არ დაურეკონ. როგორც „სითი პარკის“ თანამშრომლები აცხადებენ, ადმინისტრაციამ ისინი ყაჩაღებად აქცია და, ფაქტობრივად, მანქანების გატაცება დაავალა.**

კომპანია „სითი პარკის“ გაფიცული თანამშრომლების ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ გაფიცული თანამშომლების მოთხოვნებია „სითი პარკსა“ და თანამშრომლებს შორის ნორმალური შრომითი ხელშეკრულების აღდგენა, ასევე, ექსპერტების მიერ ქალაქში არსებული პარკირების სისტემის გადახედვა, რათა გაირკვეს, რამდენად შეესაბამება აღნიშნული სისტემა ქალაქის დაგეგმარებასა და უსაფრთხოებას.



გაფიცული თანამშრომლები აცხადებენ, რომ მათი ხელფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ავტომობილს გადაიყვანენ საჯარიმო განყოფილებაში, დღეში მინიმუმ, 8 მანქანის საჯარიმოზე გადაყვანა მოეთხოვებათ და თითო ჯარიმის სანაცვლოდ მხოლოდ 4 ლარს იღებენ.

**„დარღვეულია კომპანია „სითი პარკის“ მიერ საკუთარი თანამშრომლების მიმართ დადებული ხელშეკრულებები, კერძოდ, ყოველდღიურად მინიმუმ 8 მანქანის ევაკუირება უნდა მომხდარიყო, 60-ლარიანი ჯარიმა უნდა გამოეწერათ. ისინი იძულებულნი არიან, უკანონობა ჩაიდინონ, გამოწერონ ჯარიმები და დააზარალონ ქალაქის მოსახლეობა. თუ სასწაული მოხდა და რვა ჯარიმა ვერ გამოწერეს, ახსნა-განმარტებას აწერინებენ, შემდეგ კი სამსახურიდან უშვებენ“, —** აცხადებს ადვოკატი.

მარიამ კუბლაშვილის თქმით, ამჯერად „სითი პარკის“ თანამშრომლები იმის გამო გაიფიცნენ, რომ აქამდეც არაერთხელ გამოხატეს პროტესტი, მაგრამ, ვინც კი უკმაყოფილება გამოთქვა, ყველანი უკანონოდ, გაუფრთხილებლად სატელეფონო ზარით გაათავისუფლეს. არადა, მათ ოჯახები ჰყავთ, რაიონებიდან არიან ჩამოსულნი და ქირას ვერ იხდიან.

ადვოკატის თქმით, ყველაზე დიდი უსამართლობა ის არის, რომ მძღოლები ხშირად დამნაშავენი არ არიან. ყოფილა შემთხვევები, როცა მანქანა დროებითაა გაჩერებული, არც უსაფრთხოებას ექმნება საფრთხე, მანქანები არ ფერხდებიან და ისეთ ადგილას დგას მანქანა, წესით, ევაკუირება არ არის განსახორციელებელი. ამ დროს კი „სითი პარკის“ თანამშრომლებს ძალიან ბევრი მანქანა უკანონოდ გადაუყვანიათ. ისინი არც მალავენ, ჩვენ უკვე მონადირეები ვიყავით, ხალხი გადმოდიოდა შეტევაზე, ბევრი გვცემდა კიდეც, ყაჩაღებს გვეძახდნენ, ვეზიზღებოდით. ასეთი დამოკიდებულება ჩვენთვის ღირსების შემლახავიაო.

**„ზოგჯერ მანაქანა ხუთი წუთით შეჩერდება, ავარიული აქვს ჩართული და მძღოლი განიშნებს, რომ ხუთი წუთითაა გადასული, მაშინვე უნდა მოსტაცო მანქანა და გაიტაცო, რათა თითო მანქანიდან ოთხი ლარი გამოიმუშავო?“ —** კითხულობს ადვოკატი.

მისი თქმით, „სითი პარკის“ თანამშრომლები შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს, კომპანიის ხელმძღვანელს — ბინიამენ ლაჰამს შესჩიოდნენ ამის გამო, ის კი მათ პასუხობდა, **თქვენს გარდა კიდევ რამდენი გაჭირვებულია, არ გინდათ მუშაობა და წახვალთო!** ამის შემდეგ მათ ხელშეკრულებები ჩამოართვეს, თუმცა არც მხარეებს შორის გაფორმებულ მემორანდუმში წერია რამე ხელმოსაჭიდი. მარიამ კუბლაშვილი აცხადებს, რომ ასე უსამართლოდ აკრეფილი თანხის ნახევარი მერიის სასარგებლოდ შედის, ნახევარი კი ამ შპს-ს ხელმძღვანელის, ებრაელი პირის საკუთრებაა. მთლიანობაში, კომპანია ორ კაცს ეკუთვნის — დავით ქილას (სწორედ ის არის ერთ-ერთი მეწილე) და გენერალურ მენეჯერს — ბინიამინ ლაჰამს.

ადვოკატი აცხადებს, რომ მათ დაიანგარიშეს და გაირკვა, რომ კომპანიას მთლიანობაში სადღაც 25-მილიონიანი წლიური მოგება რჩება და ეს ყველაზე მინიმალური თანხაა.

**„ერთი მიყვებოდა, იძულებული ვხდები, გადავაჭარბო ჩემს უფლებამოსილებას და ოღონდაც მანქანა გავიტაცო, ყველაფერს ვკადრულობ, რადგან ოჯახი მშიერი მყავსო. ეს ყველაფერი ქალაქის წესრიგს კი არ ემსახურება, არამედ — ბიზნესს. არადა, ბიზნესი ამაზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, რომ გინდა თუ არა, 8 მანქანა დააჯარიმო. წინასწარ რა იციან, რამდენი მძღოლი დაარღვევს წესებს ყოველდღიურად? კაბალური პირობებია. სინამდვილეში, ეს არის დაგეგმარების საქმე. სულ 40-მდე კაცი მუშაობს ევაკუაციის სამსახურში, ეკიპაჟში სხედან მძღოლი, დამხმარე და ინსპექტორი“, —** აღნიშნა მარიამ კუბლაშვილმა.

ადვოკატი ადასტურებს, რომ **მერია ხელს აფარებს „სითი პარკს“. ამ დროს კი ასეთი „სითი პარკი“ არავის სჭირდება, უამრავი ტენდერი შეიძლება ჩატარდეს და სხვა კომპანიებმა უკეთესი პირობები შესთავაზონ დედაქალაქის მოსახლეობას. ამდენად, ამ კაბალური შინაგანაწესის შეცვლა ადვილია.**

ამ ეტაპზე კი „სითი პარკის“ თანამშრომლებს ყოველთვიურად ფიქსირებული ნორმალური ხელფასი უნდა დაუდგინონ, რაც არსებობისთვის აუცილებელია. მათ 600-700-ლარიანი ხელფასი მაინც უნდა ჰქონდეთ და ეს ის თანხაა, რასაც „სითი პარკი“ ყოველდღიურად თითო კაცისგან შოულობს.

**მარიამ ლოლაშვილი**

◉ გამრავლება — ერის მთავარი პრობლემა

# საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ფონდს ყველა ქართველი უნდა შეეწიოს!

## დიდი საქმენი „წვრილი ერის“ თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნების!

**ეს არის ჩემი საფიქრალი: ან გავნათლდეთ და ან გავმრავლდეთ, და ორივე ერთად თუ მოხერხდება, ის უკეთესია.**

**ვაჟა-ფშაველა**

**დემოგრაფიული მაჩვენებლების ვარდნა ჩვენი შვილების თაობას ნაციონალურ კატასტროფას უქადის.**

**ბიძინა ივანიშვილი**

ძმანო ქართველნო! მოგეხსენებათ, რომ ქართველები გენეტიკურად ქრისტიანული სულით კოდირებული და კეთილმოწყალე გულით ვევლინებით ამ წუთისოფელს და, შემდეგ სულ ვმღერით: ოღონდ კაცი იყავი და სადაც გინდა იქ ილოცეო!

...მაგრამ, დარჩება კი მლოცველი?!

ჩვენთვის ფრიად და ფრიად, ერთობ საწყენად, რიცხობრივად, მართლაც რომ, ძალიან ცოტანი დავრჩით და, ამიტომ აქვე უნდა დავადასტუროთ ქართველ ნაფიც დემოგრაფთა და მათი თავკაცის პროფესორ ანზორ თოთაძის ასახული მარტო მკაცრი კი არა, ყველა ქართველის სისხლის გამყინავი სავალალო სინამდვილე, **„საქართველოს ყველა კუთხეში უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება. და ეს, ძირითადად ქართველებით დასახლებულ რეგიონებში ხდება“.**

ამ სავალალო სტატისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ეკონომიკური სიდუხჭირეაო, განმარტავს მეცნიერი. და კიდევ, ძალიან, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, იმ სამარცხვინო და თვითმკვლელობის ტოლფასი მოქმედების გამო, რაც პასპორტიდან ეროვნული გრაფის ამოღებით და, აქედან გამომდინარე ხდება, ჩვენსავე მიწა-წყალზე შესაძლოა, რომ მალე ეროვნულ უმცირესობაში აღმოვჩნდეთ!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზითაც არც ახლო და შორეულ მომავალში ამ მხრივ კარგს და საიმედოს არაფერს ველით, პირიქით. ეს მწარე სიმართლე და სინამდვილეა და მას არ უნდა შევეგუოთ, არ უნდა დავუზავდეთ!..

არც ვეგუებით და ამიტომ იყო, რომ იმ უმძიმეს, 2008 წლის შემოდგომაზე ჩვენი სამშობლოს სეხნია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№200. 24.10.2008) სამტრედიის ვაგონების სარემონტო-საექსპლუატაციო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები დირექტორის ზაურ პეტრიაშვილის თავკაცობით გამოვედით კოლექტიური წერილიმიმართვით **„ცუდას რად უნდა მტერობა“...** სადაც ვწერდით, რომ ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ყოველ ქართველ მართლმადიდებელ ოჯახს მესამე შვილს უნათლავს და ამით აბედნიერებს ჩვენს ჯილაგს და მოდგმას, რომ არ აღსრულდეს ის, რაზეც საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდა ჩვენი მტერი — იხილოს საქართველო უქართველოდ. ამიტომ აუცილებლად მივიჩნიეთ სპეციალური ფონდის შექმნა, რომლის მიზანიც იქნებოდა მესამე და მომდევნო ბავშვის გაჩენის შემთხვევაში დედის მატერიალური წახალისება.

**და ამიტომ ყველა ჩვენს თანამოაზრე მომუშავე (დასაქმებულ) ქართველს მოვუწოდებთ, რომ, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით, ყოველთვიური ხელფასის ერთი პროცენტი გადაგვერიცხა საქართველოს საპატრიარქოს სპეციალურ ანგარიშზე.**

იხ. 8 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# გენეტიკური რღვევა — საზარელი მოვლენა



**დედამიწის მრავალ რეგიონში, მათ შორის საქართველოშიც, განსაკუთრებით ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ეკოლოგიური ვითარება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ცოცხალ ბუნებას და თვით ადამიანის არსებობას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გახშირდა ეკოლოგიური უბედურებები და ბუნებრივი კატასტროფები.**

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაში იგულისხმება ტერიტორია, რომლის საზღვრებში ადამიანის მიერ დაშვებულ შეცდომათა „სიჩქარე“ აღემატება ბუნების თვითაღდგენის ტემპებს. ამ დროს მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებელი (ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიკური გადახრები და სხვ.) ნორმასთან შედარებით გაცილებით მაღალია, ვინემ მსოფლიოს სხვა ადგილებში, რომელსაც არ შეხებია ამ ტიპის ზემოქმედება.

ეკოლოგიური უბედურების ზონა წარმოადგენს ტერიტორიას ან აკვატორიას (სივრცე წყალს ზემოთ), რომლის საზღვრებში შეიმჩნევა ბუნების კრიტიკული მდგომარეობიდან გადასვლა კატასტროფულში!

ეკოლოგიური კატასტროფის ზონა არის ტერიტორია, რომლის ფარგლებში წარმოიშობა ბუნების მდგომარეობის შეუქცევადი გადასვლა კატასტროფული ფაზიდან კოლაფსში (სიცოცხლის საშიში მდგომარეობა), რის შედეგადაც იგი ხდება გამოუსადეგარი ადამიანის და ეკოსისტემის არსებობისთვის.

ეკოლოგიური დარღვევები აპირობებენ სხვდასხვა სახის გენეტიკურ პრობლემებს.

ეკოლოგიური ვითარების მკვეთრად გაუარესების კვალდაკვალ, ამჟამად გარემო ბუნების გლობალური დაბინძურება ხდება ისეთი პროდუქტებით, რომლებიც თავის თავში ატარებენ არსებათა გენეტიკურ კოდზე ზემოქმედების საფრთხეს. უახლოეს რამდენიმე ათეულ წელიწადში შესაძლებელია დაიკარგოს ცოცხალი გენოფონდის 20 პროცენტი!

**ნებისმიერი ეკოლოგიური დარღვევა, ასე თუ ისე, ეხება გენეტიკას. ხოლო ბიოსფეროს დაბინძურების ყველაზე მძიმე შედეგი მდგომარეობს გენეტიკურ რღვევაში.**

გარემოს რადიოაქტივობის და ქიმიური დაბინძურების ზრდის შედეგად მატულობს მუცლად ყოფნისას ნაყოფის განვითარების პათოლოგიების, ავთვისებიან სიმსივნეთა, ფსიქიკურ დარღვევათა რიცხვი. ამის გამო მსოფლიო მასშტაბით მილიონობით ბავშვი იბადება სხვადასხვა გენეტიკური გადახრებით, ფიზიკური და ფსიქიკური დეფექტებით. ეს კი ორგანულ კავშირშია ბოლო წლებში ფსიქიკურად დაავადებულთა რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან.

კაცობრიობამ უკვე გაიარა გზა გენეტიკის თითქმის ერთი მესამედის დაშლისა იმ დონემდე, რომელიც ადამიანისთვის სასიკვდილოა. ამას მოწმობს ინდივიდთა მნიშვნელოვანი რიცხვი გენეტიკური დარღვევებით. კერძოდ ფსიქიკური პათოლოგიებით, რომელიც ესაზღვრება სერიოზულ ფსიქიკურ დარღვევებს და გონებრივ ჩამორჩენილობას. **მათი რიცხვი მთელ მსოფლიოში იზრდება. მაგალითად, რუსეთში ასეთ ადამიანთა რიცხვი 15 მილიონ კაცს აღწევს.**

ამერიკელთა 26 პროცენტი ფსიქიკური აშლილობითაა დაავადებული. 14 ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ყველაზე უფრო საგანგაშო მდგომარეობა სწორედ აშშ-ია. ამას განაპირობებს ამერიკული ცხოვრების წესი. ისინი ძალზე ბევრს მოითხოვენ ცხოვრებისგან და როცა მიზანს ვერ აღწევენ, ამას ვერ ეგუებიან.

ბრიტანეთის ფსიქიატრიულმა ჟურნალმა სკანდალური გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა. ყოველი მეოცე ინგლისელი ფსიქიკურად დაავადებულია. ამ მხრივ მამაკაცთა რაოდენობა აშკარად ჭარბობს ქალებს.

ფსიქიკური დაავადებები საკმაოდაა გავრცელებული გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მათი მკურნალობა ხაზინას ყოველწლიურად 29 მილიარდი ევრო უჯდება. ეს დაავადება მესამე ადგილზეა გულსისხლძარღვთა და ნაწლავების დაავადების შემდეგ.

ამ მხრივ მდგომარეობა ნაკლებად საგანგაშოა იტალიაში. აქ ეს ავადმყოფობა მოიცავს საზოგადოების 8 პროცენტს.

**საქართველოში 107 ათასამდე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირია. აქედან 20 ათასზე მეტი გონებრივად ჩამორჩენილი. 1992 წლიდან ჩვენს ქვეყანაში ფსიქიკურად დაავადებულთა რიცხვი 3-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, საგანგაშოა რომ ჯანდაცვის სფერო ამ მიმართულებით საერთო დაფინანსების მინიმუმს ხარჯავს.**

ყოფილ საბჭოთა კავშირში 1980 წლიდან ყოველწლიურად 200 ათასი ბავშვი იბადებოდა სერიოზული გენეტიკური დეფექტებით (30 ათასამდე ბავშვი მკვდარშობილი იყო), ორსულთა 25 პროცენტი უნაყოფო გამოდგა!

ადამიანები, რომლებიც გენეტიკური ტვირთის ქვეშ არიან მოქცეული მსოფლიოში, შეადგენდნენ რამდენიმე მილიონს.



ყურადღებას იქცევს მამაკაცის ფენიმიზაციის ერთი შეხედვით უბრალო მიზეზებიც.

ბიჭის მამაკაცად ჩამოყალიბებას მუცლადყოფნიდანვე ემუქრება საფრთხე. ამერიკელი მკვლევარები საგანგაშო დასკვნამდე მივიდნენ. აღმოაჩინეს, რომ ქიმიური ნივთიერებები — ფტალატები, რომლებსაც რამდენიმე სახის პლასტმასი და ლინოლიუმი შეიცავს, ბიჭების ფემინიზაციას იწვევს, ირღვევა ჰორმონული ბალანსი... მათი გამოყენება სათამაშოებში რამდენიმე წელია აკრძალულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

მამაკაცის ფემინიზაცია შესაძლოა განვითარდეს ღვიძლის, თირმკლის ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში, ასევე განსაზღვრული პრეპარატების ხანგრძლივად მიღებისას.

სპერმატოზოიდების უმოძრაობამ, რაც დამახასიათებელია რიგი პათოლოგიებისთვის, მამაკაცები შეიძლება მიიყვანოს უნაყოფობამდე (მეტი ჭამეთ გოგრა, პამიდორი, ლობიო, ღვიძლი, ხორცი, სვით რძე).

სწორედ ცუდი ეკოლოგიური ვითარება და პრობლემები გენეტიკის სფეროში აპირობებენ იმას, რომ მკურნალობა ნებისმიერი დაავადებისას სასურველ შედეგს არ იძლევა. **„მიუხედავად დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების გამოჩენისა, სამკურნალწამლო საშუალებათა კოლოსალური არსენალისა და უახლესი ქირურგიული მეთოდების არსებობისა, მკურნალობის ეფექტურობა არათუ არ მაღლდება, პირიქით, ავადმყოფთა სიკვდილიანობის ზრდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მცირდება კიდეც“** (აკადემიკოს ევგენი ჩაზოვის გამოსვლიდან კარდიოლოგთა მსოფლიო კონგრესზე).

მდგრადი განვითარების სოციალური პრობლემების ანალიზი გვიჩვენებს მათ მჭიდრო კავშირს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ეთიკურ ასპექტებთან.

როცა ადამიანი სისტემატურად ფალსიფიცირებულ საკვებს „აგემოვნებს“, ატარებს სინთეტიკური მასალებისგან დამზადებულ ტანსაცმელ-ფეხსაცმელს, სუნთქავს გაბინძურებულ ჰაერს, ხმარობს ალუმინის, პლასტიკატების და სხვა მავნე ნივთიერებებისგან დამზადებულ ჭურჭელს, ჯანმრთელობისთვის დაუშვებელ კოსმეტიკურ საშუალებებს და სხვ. **ყოველივე ეს აპირობებს ადამიანის გენეტიკურ რღვევას, რაც საბოლოოდ მის ფსიქიკურ აშლილობას გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა დაბადებას, მკვდარშობილთა მომრავლებას, ან საერთოდ უნაყოფობას იწვევს.**

**ეს პრობლემები საქართველოში ხასიათდება გარკვეული სიმწვავით, რადგან მდგრადი ეკოლოგიური განვითარების საკითხებს ხელისუფლება წლების მანძილზე არ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას, ამიტომ ზემოაღნიშული ავადმყოფობები მეტ წილ შემთხვევებში რჩებოდა მხოლოდ თავად ინდივიდის, მისი ოჯახის, უკიდურეს შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულების საზრუნავად.**

**საერთაშორისო მონაცემებით შეინიშნება არასრულფასოვან ადამიანთა, განსაკუთრებით გონებაჩლუნგ ბავშვთა ყოველწლიური ზრდა. ამგვარად, გენეტიკურ „ტვირთში“ იგულისხმება დარღვევები ადამიანის გენეტიკურ ინფორმაციაში, რომელიც სერიოზულად აზიანებს მოსახლეობის მემკვიდრეობით ჯანმრთელობას.**

ეკოლოგიური ვითარების მკვეთრი გაუარესება ადამიანის ორგანიზმისა და გარეგნობის ცვლილებებს რომ იწვევდა, ეს ჯერ კიდევ ადრე იყო ცნობილი. ერთობ საინტერესოა ფილოსოფოს ზურაბ კაკაბაძის აზრი:

> **„რახან ბუნების სხვადასხვაობა კულტურათა სხვადასხვაობას განაპირობებს, რახან ბუნების თავისებურება მის წიაღში მცხოვრები ხალხის ხასიათისა და კულტურის თავისებურებას განსაზღვრავს, ნათელი უნდა იყოს, რომ ბუნების, ბუნებრივი გარემოს გადაგვარება შესაბამისი ხალხის ხასიათისა და კულტურის, მისი ეროვნული სახის გადაგვარებას მოასწავებს“.**

ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის, გენეტიკის რღვევის შესუსტების ან თავიდან აცილებისთვის სასარგებლოა ორგანიზმის იმუნიტეტის ამაღლება.

იმუნიტეტი ორგანიზმის თავდაცვის საშუალებაა ცოცხალი სხეულებისა და ნივთიერებებისაგან, რომლებიც ატარებენ უცხო გენეტიკურ ინფორმაციას.

ყოველდღე ადამიანის ორგანიზმში წარმოიქმნება და იღუპება ერთ მილიარდამდე უჯრედი, მათ შორის ერთ მილიონამდე მკვეთრად შეცვლილი ან კიბოსწინა ნიშნებით. ვერც ერთი ექიმი ამ უჯრედებს ვერ აღმოაჩენს და ვერ გაანადგურებს. ეს უნდა გააკეთოს თვით ადამიანის ორგანიზმმა, მისმა იმუნურმა სისტემამ.

ორგანიზმში გენეტიკის გაჯანსაღების საქმეში აუცილებლად უნდა ჩავრთოთ მკურნალობა ვიტამინებით, რომელთა მიღება განსაკუთრებით აუცილებელია გაზაფხულზე და ზაფხულში. უნდა დავეხმაროთ ორგანიზმის სასიცოცხლო ძალებს, მით უფრო, თუ ხანგრძლივი და მკაცრი ზამთარი იდგა.

ვიტამინების უკმარისობის საერთო ნიშნები ცნობილია: ესაა ჩქარი დაღლა, დღე მძინარობა. ყველა სახის ვიტამინის უკმარისობას ახასიათებს სიმშრალე და წვა თვალებში. ფრჩხილების მსხვრევადობა, კანის აქერცვლა. ფერისმჭამელები იმის ნიშანია, რომ ორგანიზმს აშკარად არ ჰყოფნის A ვიტამინი (რეტინოლი).

ჯანმრთელობისთვის მეტად მავნეა გენური ინჟინერიის გზით მიღებული პროდუქტები. ასეთები კი საკმაოდ მრავლადაა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე.

დადგენილია, რომ გენეტიკური სახეცვლილებით მიღებული ქათმის წონა 5-ჯერ მძიმეა ჩვეულებრივ ქათამზე და მისი მოხმარება ხელს უწყობს სიმსივნური დაავადებების წარმოშობას. ანალოგიურად მავნეა, როცა ფრინველის გამოსაკვებად იყენებენ ჰორმონულ პრეპარატებს და სხვადასხვა ანტიბიოტიკებს.

ექიმები გაოცებულნი არიან მოდიფიცირებული კვების მძიმე გვერდითი მოვლენებით. მაგალითად, ადამიანები, რომლებიც ჩინეთში იკვებებოდნენ გენეტიკურად შეცვლილი ნესვით, დაავადდნენ დიაბეტით; გერმანიაში გენმოდიფიცირებული ღორის ხორცის ჭამის შემდეგ გამოვლინდა მამაკაცთა იმპოტენცია; ქალებმა, რომლებიც გენშეცვლილი კურდღლის ხორცით იკვებებოდნენ, დაბადეს 2 და 3 არასრულფასოვანი შვილი.

თუ თქვენ გამორიცხავთ ფალსიფიცირებულ და გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს და მიაღწევთ კვებას ნატურალურით, სიცოცხლეს გაიხანგრძლივებთ 15-20 წლით. ამასთან, იგულისხმება, რომ ყოველდღიურად შეასრულებთ თუნდაც მარტივ მოძრაობებს სუფთა ჰაერზე, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს გენეტიკური პათოლოგიების აღკვეთა-აცილებას.

* * *

ფსიქიკურმა გადახრებმა, რომლებიც ადამიანის ორგანიზმის გენეტიკური პროგრამის დარღვევასთანაა დაკავშირებული, შეიძლება ბიძგი მისცეს უმძიმეს დანაშაულობებსაც კი. მხედველობაში გვაქვს აშშ-ში სხვადასხვა დროს მომხდარი ერთბაშად ათეულობით ადამიანთა მკვლელობები. თუნდაც 2012 წლის დეკემბერი გავიხსენოთ: — ახალგაზრდა კაცი იარაღით ხელში შევარდა ერთ-ერთ სკოლაში და 16 ბავშვი მოკლა, ბოლოს კი თავი მოიკლა. საქმე ეხება აბსოლუტურად უმოტივო მოქმედებებს... ნორვეგიელი ანდერს ბრეივიკის ენით აუწერელი სისასტიკე ხომ მსოფლიოს ახალი თავსატეხი გახდა... ეს საშინელი მკვლელობები, ზოგჯერ დასრულებული თვითმკვლელობით, უნდა აიხსნას ადამიანის ფსიქიკაში მომხდარი გადახრებით...

**სპეციალისტები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ეკოლოგიური კატაკლიზმების ფონზე**



**გენეტიკური დარღვევების გაგრძელებისას, გონებრივად ჩამორჩენილთა რაოდენობამ ამა თუ იმ საზოგადოებაში, ძალიან მალე შესაძლოა, უმრავლესობა შეადგინოს!**

**კოკი ნარმანია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მილოცვა

# სიტყვის ტრფიალს რომ იტყვიან...



აი, შემოდის იგი რედაქციაში, ოდნავ მოხრილი (მოერია 80 წელი), ხუმრობა საქმე ხომ არ არის... კაი სალამი, კაი გამარჯობა ყველას, და, რედაქტორის პირისპირ ჩამომჯდარი, ვაჟაფშაველას ხურჯინივით ხსნის ჩანთას, საიდანაც ნება-ნება ამოაქვს წერილები, სხვადასხვა თემაზე ჩანახატები ლექსად, პროზად, დაუნდობელი „სუსხიანი სტრიქონები“... ყოველივე, მალე, საკუთარი გვარ-სახელისა თუ მრავალნაირი ფსევდონიმის ხელმოწერით დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში... სულ ჩამოქნილ-ჩამოძერწილი, სულ აკურატულად, სულ შემართებით ნაწერი. ალბათ, მასაც ეხება ერთი ჩვენი კოლეგის მოსწრებულად ნათქვამი, „ჭკუა ხანში კი არა, თავშია“. ჭეშმარიტად, არ ვაჭარბებ, მისი სხარტი გონება ახალგაზრდებს შეშურდებათ.

უტოვებს რედაქტორს ნაკალმარს და მიდის. მალე ყველაფერი განმეორდება, უფრო დიდხურჯინიანი ავტორი „საქართველოს რესპუბლიკას“ არა ჰყავს... და, გულშემატკივარიც, რედაქციის კარგისა თუ ავის გამზიარებელი, რომელსაც, თუ არ ვცდები, სხვა გაზეთში არც არაფერი დაუბეჭდავს...

ეს **თამაზ ებანოიძეა**, ჩვენი მეგობარი, სულით, გულით ჟურნალისტი, მწერალი-იუმორისტი, პოეტი, რომელმაც ქართული მხატვრული სიტყვის სიყვარულით, ძირითადი პროფესია – მათემატიკოსობაც დათმო და დედაენას ეფერება დღენიადაგ. იგი ერთ-ერთი უპირველესი ქომაგი და დამცველია ქართული ენის სიწმინდისა, სწორად წერა-საუბრისა (სხვათა შორის, რედაქციაში შემოსვლისა და სალამ-ქალამის შემდეგ, პირდაპირ ეტყვის იმდღევანდელი ნომრის ავტორებს, შენს წერილში ეს მომეწონა, ის არ მომეწონა, ის სიტყვა არასწორადაა ჩასმული წინადადებაში... და ასე შემდეგ... თავიდან, ცოტა არ იყოს, „გვწყინდა“, ახლა შევეჩვიეთ).

იგი, შეიძლება ითქვას, ჩვენი „წარმომადგენელია“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში და, ამდენად, წერილების ავტორიც იქ გამართული ღონისძიებების შესახებ.

თუ დრო აქვს, ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე და იგონებს იგი ბავშვობას, ყმაწვილობას, გარდაცვლილ მშობლებს, დაიას, იმერეთს, ხაშურს... რა გასაკვირია, სიბერეში ხომ ძალუმად მძაფრდება გარდასულ დღეთა მოგონებები.

...და ცხოვრობს, დადის, საქმიანობს ერთი გულიანი, ნიჭიერი კაცი, სამშობლოს მომავალზე მოფიქრალი, მიშა სააკაშვილზე და „ნაცებზე“ ნამეტანი გამწყრალი, მაგრამ მაინც იმედიანი...

რა გისურვოთ ჩვენო თამაზ?!. მაგრად იყავ, 90 წლის შესრულება მოგველოცოს თქვენთვის!

**ვილენ მარდალეიშვილი**

მე ვიტყვი სიმართლეს

**კუდ-ის ყოფილი უფროსი რომ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მფლობელია, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისთვის კარგადაა ცნობილი. შს მინისტრი ამბობს, რომ დათა ახალაიას ვანო მერაბიშვილი ძალიან ბევრ დავალებას აძლევდა, რასაც ის „წარმატებით“ ასრულებდა. შესაბამისად, არაა გამორიცხული, რომ ახალაიამ გამოძიებას ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენება და მტკიცებულებები მისცეს, რაც ახალაიას შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაეთვლება.**

**რატომ გაემიჯნა „ნაციონალური მოძრაობა“ ძმებ ახალაიებს და ვისი მფარველობით ცდილობს ახალაიას ყოფილი მოადგილე დავით ჩხატარაშვილი გავლენის მოპოვებას? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge ექსპერტს კახი კახიშვილს ესაუბრა.**

– ბაჩო ახალაიამ ჩათვალა, რომ გავლენები მთლიანად ძმებს შორის უნდა გადანაწილებულიყო. ძირითადი კონსტრუქცია აეწყო ისე, რომ მამა სამეგრელოს აკონტროლებდა, ძმა – უშიშროებას და შემდგომში თავდაცვას, ხოლო თვითონ იყო შს მინისტრი. ეს ძალიან დიდი ბერკეტებია საიმისოდ, რომ არასტაბილურ ადამიანს გაუჩნდეს განცდა იმისა, რომ ის შეიძლება იყოს საქართველოს ახალი მეწილე. თუმცა, ის დაეჯახა ვანო მერაბიშვილის კადრებს და ვერ გათვალა რომელ სისტემაში დაიწყო მუშაობა. შს სამინისტრო რთული სისტემაა, ისეთი მეთოდები, რომელიც სხვა სისტემაში ჭრის, შსს-ში არ ჭრის.

შსს-ს მთელი შემადგენლობა ეს არის ოპერატიული თანამშრომლები, რომლებიც წლების განმავლობაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას ასრულებდნენ, მათთან სიხისტე ყოველთვის მიგიყვანს პრობლემის წინაშე. მაგალითად, ედუარდ შევარდნაძე ცდილობდა მინისტრად დაენიშნა სისტემის გამოზრდილი კაცი, რომელსაც უშუალო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა შსს-ში სხვადასხვა თანამშრომლებთან. ამ ბატონებმა კი ვერ გათვალეს, რომ იმ სამინისტროში იჯდა ხალხი, რომლებიც წლების განმავლობაში მათ თვითონ სწავლობდნენ, რადგან ასეთი დავალება ჰქონდათ.

**– ანუ კომპრომატებს აგროვებდნენ?**

– რა თქმა უნდა. ოპერატიულმა თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ მინისტრის როგორც სუსტი, ასევე ძლიერი წერტილები. ასე რომ, ახალაიას მთელი წრე შესწავლილი ჰყავდათ. ახალაიამ კი ვანო მერაბიშვილის კადრებთან დაიწყო იმაზე საუბარი, რომ ძალიან მალე ბიზნესგადანაწილება მოხდებოდა და მერაბიშვილს პრობლემები შეექმნებოდა.

**– თქვენ იცით, რომ იყო ასეთი საუბრები?**

– რა თქმა უნდა, ვიცი და, ბუნებრივია, რომ ამის შესახებ ისინი ეტყოდნენ მერაბიშვილს. მე ერთი რამე ვიცი, რომ თუ ისინი მოიგებდნენ არჩევნებს, ამ შემთხვევაში ახალაიას გეგმებში შედიოდა ძველი კლანის განადგურება, რომლებსაც გადანაწილებული ჰქონდათ ბიზნესსფეროები, ეს არის მერაბიშვილი და კეზერაშვილი.

**– დათა ახალაია ამბობს, რომ აქვს მტკიცებულება იმისა, როგორ დაგეგმა ვანო მერაბიშვილმა ლაფანყურის სპეცოპერაცია. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, მას ჰქონდეს მტკიცებულება მერაბიშვილის წინააღმდეგ, თუ მისთვის არაკომფორტულია საზღვარგარეთ ყოფნა, რადგან სერიოზული პრობლემები აქვს ჩეჩნურ დიასპორასთან და ამის გამო დაიწყო ეს თამაში?**

– გეთანხმებით, რომ დღეს არაკომფორტულია მისთვის საზღვარგარეთ ყოფნა. მას ძალიან ბევრი მტერი ჰყავს არა მხოლოდ ქისტურ საზოგადოებაში, არამედ იმ ბიზნესმენებში, რომლებსაც ის წლების განმავლობაში ავიწროვებდა, ბიზნესებს ართმევდა და პრობლემას უქმნიდა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ახალაია უსაფრთხოდ ვერ იქნება. მისთვის უფრო კომფორტულია ციხეში იჯდეს, ამავდროულად, აშანტაჟოს „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი წარმომადგენელი და ითანამშრომლოს გამოძიებასთან. მით უმეტეს, თუ სასამართლოს და პროკურატურის მუშაობას გადახედავთ, დამერწმუნებით, რომ ახალაიას იმის იმედიც აქვს, რომ პროკურატურა მაინცდამაინც ბევრ მტკიცებულებას ვერ დადებს, რომელიც მას დიდი ხნით გაასამართლებს.

**– ანუ, რაც მის ძმასთან დაკავშირებით ხდება? იმის მიუხედავად, რომ პროკურატურა ამბობს, ყველა ბრალდება მტკიცებულებებით არის გამყარებულიო, ამ მტკიცებულებების წარმოდგენა ვერ ხერხდება სასამართლოზე...**

– სისხლის სამართლის საქმეები გამოირჩევა იმით, რომ სისწრაფეა საჭირო. ცხელ კვალზე შეგიძლია ისეთი მტკიცებულების მოპოვება, რომელიც საბოლოო საყრდენად დაედება გამამტყუნებელ განაჩენს. როდესაც მომენტს გაუშვებ ხელიდან, შესაძლებელია, საქმე ისე გაფუჭდეს, რომ მას არ ჰქონდეს სასამართლოს პერსპექტივა. მით უმეტეს, ისეთი სასამართლოსი, რომელიც ლუპით ეძებს შეცდომას, რომ ამაზე ააგოს პრობლემური გადაწყვეტილება პროკურატურის წინააღმდეგ.

აქ ორი მომენტია – ან პროკურატურას უჭირს იმიტომ, რომ ძველი საქმეების გამო ვერ აგროვებს მყარ მტკიცებულებებს, რომლებიც სასამართლოში საფუძვლად დაედება ბრალს, ან მეორე – პროკურატურა ელოდება სასამართლო რეფორმას, იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის შეცვლას და, იმავდროულად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას, რათა ნაკლებად პრობლემური იყოს მისთვის ბრალის მტკიცება.

პროკურატურამ დღეს ყველა ის მტკიცებულება რომ წარმოადგინოს, რომელიც მას აქვს და დაიწყოს არსებითი განხილვა, ვფიქრობ, იციან, რომ დაინგრევა საქმე.

**– ანუ შესაძლოა მყარი მტკიცებულებები არ არსებობდეს?**

– როგორც ჩანს, მყარი მტკიცებულება არა აქვთ. ამავდროულად, იციან, რომ სასამართლო არის პოლიტიზებული. როგორც კი ახალი იუსტიციის საბჭო შეიქმნება, დარწმუნებული ვარ, ახალაიას ახალ ბრალს წაუყენებენ. ეს არაა ახალაიას საბოლოო საქმე, რომლითაც წერტილი დაესმება მისი საქმიანობის სამართლებლივ შეფასებას. საქმე, რომელიც დღეს იხილება, არის ერთ-ერთი ეპიზოდი და ეს არ გამორიცხავს იმას, რომ თუნდაც, ამ ეპიზოდზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ, ახალი ბრალი არ ექნება წაყენებული. თვითონ პროკურატურასაც

## „პროკურატურაში ისინი ბრუნდებიან, რომლებმაც საქართველო დატოვეს“



პრობლემები აქვს საკადრო პოლიტიკაში, ე.წ. კოჰაბიტაციის გამო. ჯერჯერობით, კიდევ ვერ გაერკვნენ პროკურატურის სტრატეგიაში.

**– ამ კოჰაბიტაციის ნაწილი ხომ არ არის ახალაიას გადაწყვეტილება, რომ დაბრუნდეს და მისცეს გამოძიებას ჩვენება?**

– ბუნებრივია, ის ძალიან ბევრ ინფორმაციას ფლობს. ინფორმაციის გადაცემა ერთია, მაგრამ მეორეა, იგივე ინფორმაციის მტკიცებულებით გამყარება. ამ კუთხით ფასეული იქნება თანამშრომლობა არა იმით, რომ ვიღაცაზე რაღაცას მოყვება, არამედ იმითი, რომ დასაბუთდება თითოეული სიტყვა. შეძლებს თუ არა ამას ახალაია, ვერ გეტყვით. ბუნებრივია რაღაცა მასალები ექნებათ გატანილი.

**– მათ შორის მერაბიშვილზე?**

– როდესაც ახალაია კუდ-ში მოღვაწეობდა, მაშინ ვანოსთან ურთიერთობა გაფუჭებული არ ჰქონდა. შესაძლებელია რაღაცა მასალებს ვანოზეც აგროვებდა, მაგრამ, ეს ინფორმაცია ვანომდე მიდიოდა.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ გაემიჯნა „ნაციონალური მოძრაობა“ ძმებ ახალაიებს?**

– „ნაციონალურ მოძრაობასაც“ აწყობს მათგან ასეთი გამიჯვნა.

**– თვლიან, რომ შესაძლოა, ეს დაეხმაროს მათ იმიჯის შექმნაში?**

– რა თქმა უნდა. რასაც ჩვენ ვხედავთ, ყველა სისასტიკე მაინც უკავშირდება ამ ორი ძმის და ქარდავას სახელს. არჩევნების დამარცხების აღიარების შემდგომ, პროცესები ისე განვითარდა, თითქოსდა, ეს სამი ადამიანი იყო სისასტიკის გენერატორი საქართველოში.

**– და ეს ასე არ იყო?**

– ჩემი აზრით, – არა მხოლოდ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სამ ადამიანს არავინ არ მისცემდა ამის რეალიზების საშუალებას, რომ არ ჰქონოდათ მწვანე შუქი ზემდგომიდან.

**– პრეზიდენტისგან?**

– რა თქმა უნდა. ახალაიები იყვნენ შემსრულებლები იმ სისასტიკისა, რაც ქვეყანაში მკვიდრდებოდა. ესენი იყვნენ შემსრულებლები და არა იდეის ავტორები. ამიტომაც, დღეს ძალიან აწყობთ მათ, რომ გაემიჯნონ ძმებს. პრესამაც იმუშავა, აქცენტი მხოლოდ ახალაიებზე კეთდებოდა და მმართველი გუნდი თითქოსდა თვითონ ემიჯნებოდა ამ სისასტიკეს.

ახალაიას მხარდასაჭერად სასამართლოზე დადიოდნენ უმცირესობის წევრები, შემდგომში ესეც ნელ-ნელა შეწყდა და მხოლოდ თუთბერიძე და რამდენიმე ადამიანი დადის მასთან პროცესებზე. „ნაციონალური მოძრაობის“ ელიტა გაემიჯნა ახალაიას. ახლა ნელ-ნელა ემიჯნებიან ადეიშვილსაც. სააკაშვილმა დაამკვიდრა აზრი, პროკურატურას მადა ჭამაში მოუვიდაო, ზედმეტი მოუვიდა ადეიშვილსო, ანუ ამ პოლიტიკასაც ემიჯნება უკვე.

**– და რატომ ვერ ემიჯნება მაშინ ვანო მერაბიშვილის პოლიტიკას? არანაკლებ სისასტიკესთან და უკანონობასთანაა დაკავშირებული მერაბიშვილის სახელი...**

– მერაბიშვილის პოლიტიკასაც რომ გაემიჯნოს, მაშინ მარტო დარჩება.

**– თუნდაც პროკურატურამ რატომ ვერ დადო ამ დრომდე მტკიცებულებები მერაბიშვილის წინააღმდეგ, გარდა იმ ყალბი პასპორტისა...**

– ესეც სპეციალურად გააკეთა მერაბიშვილმა, რომ სკანდალში გაეხვია პროკურატურა. პროკურატურა ძალიან რთულ დღეშია. პროკურატურის ხელმძღვანელობა ჯერჯერობით არაა გარკვეული ნიუანსებში. ადამიანები გვერდიდან ცდილობენ, რომ საკუთარი გავლენა მოიპოვონ პროკურატურაზე და ვიღაც-ვიღაცების კადრები დანიშნონ. როდესაც პირველად განვაცხადე, რომ დათა ახალაიას და შემდეგ ზურაბ ადეიშვილის მოადგილე დავით ჩხატარაშვილი ცდილობს ვიღაც-ვიღაც მფარველების მეშვეობით საკუთარი გავლენა მოიპოვოს ისევ პროკურატურაში და იმ კადრებსაც კი აბრუნებენ, რომლებმაც არჩევნების წაგების შემდეგ საქართველო დატოვეს და მიიმალნენ, ახლა დაინიშნენ და ამის შემდეგ დაიწყო ბინძური კამპანია ჩემს წინააღმდეგ.

**– ვინ დაინიშნა?**

– თუნდაც, მანუჩარ ქაჯაია და სხვები. როგორც კი დავასახელე ჩხატარაშვილის გვარი, დაიწყო ბინძური კამპანია ჩემს წინააღმდეგ. პროვოკაციულად აცხადებენ, თითქოსდა, ქრთამი ავიღე, ჩავიდინე ეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამიტომ, მე განცხადებით მივმართავ შსს-ს, რომ დაიწყოს ამ ფაქტის გამოძიება და გაარკვიოს მათგან, ვინ არის ის ადამიანი, ვისგანაც მე თურმე ქრთამი ავიღე. დაველოდები საქმის გამოძიებას. იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაქტი არ დადასტურდა, მაშინ სისხლის სამართლის კოდექსში არის მეორე მუხლი, ეს არის ცრუ დასმენა, რომელიც ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობას.

**თამთა ქარჩავა**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## აკადემია ხვალ

# ბიოორგანული მწვანე რევოლუცია



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატი რამაზ გახოკიძე**

**კაცობრიობის საკვებით უზრუნველყოფა უპირველესი პრობლემაა. ამჟამად მსოფლიოში ერთ მილიარდზე მეტი ადამიანი შიმშილობს, ყოველწლიურად შიმშილისგან 10 მილიონი ადამიანი იღუპება და 100 მილიონი სიკვდილის პირასაა მისული. გასული საუკუნის 70-იანი წლების მწვანე რევოლუციამ მხოლოდ დროებით მოხსნა შიმშილის პრობლემა.**

მწვანე რევოლუციამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ფართოდ გავრცელებას, აგროქიმიკატებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გლობალიზაციას და დაპყრობას ამერიკული კომპანიების მიერ. მან ახალი პრობლემები შეუქმნა კაცობრიობას ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის საქმეში. ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ საკმარისად არა აქვს შეგნებული მიწათმოქმედების გადაჭარბებული ქიმიზაციის საშიშროება. მაღალპროდუქტიულ სავარგულზე ზრუნვა, უწინარესად, ბიოსფეროს გაუმჯობესებაზე ზრუნვაა. შხამქიმიკატებისა და სასუქების ხელაღებით გამოყენებამ შესამჩნევად შეამცირა ნიადაგის ნაყოფიერება (გაზარდა ეროზია და შეამცირა ჰუმუსის წარმოქმნა), გააუარესა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თვისებები. შხამქიმიკატებს ცალკეულ კომპანიათა ხანმოკლე მოგებისა და ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე იყენებენ. სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია დღეს პროდუქციის მაღალი ხარისხისა და მისი უვნებლობის გარანტიას არ იძლევა.

**თანამედროვე აგროტექნოლოგიის ძირითადი ამოცანაა პროგრესული ტექნოლოგიური ოპერაციების (პრეციზიული ტექნიკის, თანამედროვე პრეპარატების, ინფორმაციული ტექნოლოგიების) გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო პროცესების მართვა. მისი მიზანია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლება ბიოლოგიურ პოტენციურ მოსავლიანობამდე, მცენარეთა მინერალური კვების ოპტიმიზაცია და გარემოს სტრესული ფაქტორებისა და დაავადებების მიმართ გამძლეობის გაზრდა.**

მრავალწლიანი ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რამაზ გახოკიძემ შეისწავლა ცოცხალი უჯრედის მართვის გზები და გამოავლინა ახალი თაობის უნივერსალური რეგულატორები, ე.წ. ბიოენერგოაქტივატორები (ბიორაგი, ემატონი, რაგოცინი, რაგილი, იმუნორაგი და სხვ.), რომელთაც მსოფლიოში ანალოგები არა აქვთ. ისინი გარემოს გაუბინძურებლად ბიოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღების საშუალებას გვაძლევენ, რაც დღეს ერთ-ერთი უსერიოზულესი პრობლემაა კაცობრიობის გადასარჩენად.

ბიოენერგოაქტივატორები უხვი მოსავლის, გარემო ფაქტორებისა და დაავადებებისადმი მცენარეთა მდგრადობის გაზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მიწის ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.

**ბიორაგი** ბიოენერგოაქტივატორების ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელმაც ათეული წლების განმავლობაში, როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში გაიარა ტოქსიკურ-ეკოლოგიური ექსპერტიზა და სამეურნეო გამოცდები. დადგენილია მისი სრული უვნებლობა. უფრო მეტიც, გამოვლენილია მისი მაღალი ანტიმუტაგენური აქტივობა და პროფილაქტიკურ-სამკურნალო თვისებები, რის გამოც რეკომენდებულია როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მედიცინასა და კვების მრეწველობაში გამოსაყენებლად .

**ბიორაგით შესაძლებელია:**

1. მარცვლოვანი, ბოსტნეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გაზრდა (რიგ შემთხვევებში 2-3-ჯერ და მეტად);
2. მრავალწლოვან კულტურათა კალმების სწრაფად დაფესვიანება და ნაყოფმსხმოიარობის რამდენიმე წლით დაჩქარება; მეწლეობის თავიდან აცილება;
3. სასუქების გამოყენების ოპტიმიზაცია;
4. მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი ამაღლება;
5. ჰიბრიდული მცენარეების მოსავლიანობის და ხარისხის გაზრდა;
6. გარემოდან საკვებ ნივთიერებათა შეთვისების გაძლიერება;
7. დაავადებებისადმი მცენარეთა მდგრადობის ამაღლება;
8. ყინვა და გვალვაგამძლეობის ამაღლება;
9. ბიოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღება პესტიციდების გამოთიშვით (ნაყოფში მნიშვნელოვნად მცირდება ნიტრატების, მძიმე მეტალების, რადიონუკლიდების შემცველობა);
10. სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მქონე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღება (ვიტამინების, მიკროელემენტების, ამინმჟავების და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობის მკვეთრად გაზრდის გამო);
11. ბავშვთა კვებისთვის აუცილებელი მაღალი ხარისხის პროდუქტების მიღება;
12. შაქრის დამგროვებელ კულტურებში (შაქრის ჭარხალი, შაქრის ლერწამი, ყურძენი, საზამთრო, ატამი და ა.შ.) შაქრიანობის მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც დააკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს როგორც კვების პროდუქტებზე, ისე ბიოსაწვავის წარმოებაზე;
13. სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მწვანე მასის რამდენიმეჯერ გაზრდა, რაც ვიტამინების, ცილის, ნახშირწყლების, მიკროელემენტების მაღალი შემცველობის გამო საუკეთესო საკვებია ცხოველებისათვის;
14. სამკურნალო მცენარეთა მოსავლიანობის ამაღლება, ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება და, შესაბამისად, ფიტოთერაპიული ეფექტიანობის გაზრდა;
15. მიწის ეფექტიანად გამოყენება ბიოჰუმუსის შენარჩუნებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირემიწიანი ქვეყნებისათვის;
16. მოსავლიანობის ზრდასთან ერთად მწვანე ფოთლის ფართობის და ფოტოსინთეზური აქტიურობის მნიშვნელოვანი გაზრდა, რითაც ძლიერდება ატმოსფეროდან ნახშირორჟანგის — სათბური გაზის შთანთქმა, რაც გლობალური დათბობის პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზაა;
17. ბიორაგის საშუალებით მოყვანილი კულტურებით კვება, ასევე საკვებში ბიორაგის დამატება ან უშუალოდ ორგანიზმში შეყვანა ზრდის ფრინველებისა და ცხოველების წონას, პროდუქტიულობასა და დაავადებების მიმართ გამძლეობას. უმჯობესდება ხორცის გემო და კვებითი თვისებები, იზრდება ფრინველთა კვერცხმდებლობა, საქონლის წველადობა. უკანასკნელი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ბიოენერგოაქტივატორების ზემოქმედებით მნიშვნელოვნად მცირდება ხორცში ქოლესტერინის რაოდენობა.

პროფესორ რამაზ გახოკიძის მიერ შექმნილი ახალი ბიოორგანული აგროტექნოლოგიის გამოყენებით: **მნიშვნელოვნად ძლიერდება მინერალური კვების ეფექტიანობა, ფოტოსინთეზური აპარატი, გარემოდან წყლისა და საკვები ნივთიერებების შეთვისება; მკვეთრად მცირდება გარემოზე აგროქიმიკატების ნეგატიური გავლენა. ნაყოფში პრაქტიკულად არ რჩება მინერალური სასუქები და პესტიციდები. ყოველივე ეს კი მაქსიმალურად ზრდის არსებული აგროქიმიკატების პოტენციურ შესაძლებლობებს და გამოყენების არეალს.**

ბიოენერგოაქტივატორებმა პრინციპულად შეცვალეს მემცენარეობის და სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი პრინციპები:

ა) მცენარეთა მწვანე მასის ზრდა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ნაყოფის პროდუქტიულობასთან. ბიოენერგოაქტივატორების საშუალებით კი ერთდროულად იზრდება როგორც ნაყოფის, ისე მწვანე მასის მოსავლიანობა და ხარისხი, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქონლის საკვები ბაზის წარმოებაში.

ბ) დღემდე ცნობილი მეთოდების გამოყენებით მოსავლიანობის გადიდება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია პროდუქტის ეკოლოგიურ სისუფთავესთან. მოსავლის ზრდას თანამედროვე ინტენსიურ მემცენარეობაში, წესისამებრ, თან ახლავს მისი ხარისხის გაუარესება (ჭარბი ქიმიზაციის, გენური ინჟინერიის და ა.შ. გამოყენება). ბიოენერგოაქტივატორების საშუალებით კი მნიშვნელოვნად უმჯობესდება მოსავლის ხარისხი ცილების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მიკროელემენტების გაზრდის ხარჯზე.

გ) დღეს სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მცენარეთა ზრდის სტიმულატორები შერჩევითად მოქმედებენ ამა თუ იმ კულტურაზე და მათი უმრავლესობა არ არის ეკოლოგიურად სუფთა, ხოლო მოსავლის ნამატი უმნიშვნელოა და, ხშირ შემთხვევებში, ადგილი აქვს ხარისხის გაუარესებას.

დ) ბიოენერგოაქტივატორები იწვევს როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლოვანი პრაქტიკულად ყველა მცენარის აქტიურ ზრდასა და განვითარებას.

ე) ბიოენერგოაქტივატორების საშუალებით მცენარე ივითარებს არა მარტო მძლავრ, გრძელ და დატოტვილ ფესვთა სისტემას, არამედ მკვეთრად ძლიერდება ნიადაგიდან წყლისა და საკვები ნივთიერებების შეთვისება. ბიოენერგოაქტივატორი აძლიერებს ნიადაგის მიკრობიოლოგიურ ინტენსივობას და ნიადაგის ქვედა ფენებიდან ქიმიურ ნივთიერებათა ბიოგენურ მიგრაციას, რის გამოც მოსავლის აღების შემდეგ ნიადაგი არა თუ იფიტება, არამედ ნოყიერდება (!).

მაგალითად, წულრულაშენში მამათა მონასტრის ტერიტორიაზე (ბოლნისის რაიონი) ხრიოკ ადგილზე (აგროქიმიური შედგენილობა: აზოტი — 20,6 მგ/ლ, კალიუმი — 65 მგ/ლ, ფოსფორი — 0 მგ/ლ) დაითესა ბიორაგით დამუშავებული ხორბალი. მოსავლის აღების შემდეგ ჩატარებულმა აგროქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ნიადაგი საკმაოდ გამდიდრდა (აზოტი — 24,4 მგ/ლ, კალიუმი — 80 მგ/ლ, ფოსფორი — 0,058 მგ/ლ).

უკანასკნელი გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ბიოენერგოაქტივატორებს (ბიორაგი და სხვ.) და მათი გამოყენებით მიღებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს აღმოაჩნდა მაღალი ანტიმუტაგენური, ანტიციტოტოქსიკური და ანტიზოგადტოქსიკური ეფექტი. ისინი, ცნობილ პრეპარატებთან შედარებით, რამდენიმეჯერ ამცირებენ პესტიციდების, სასუქებისა და გარემოში არსებულ კანცეროგენურ ნივთიერებათა მიერ გამოწვეულ მუტაგენურ და ტოქსიკურ დარღვევებს.

პროფ. რამაზ გახოკიძის მიერ მიღებული მრავალპროფილიანი ახალი ბიოპრეპარატები იწვევენ ცოცხალი ორგანიზმის სარეზერვო მექანიზმების მაქსიმალურად გააქტიურებას და პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლინებას.

პროფესორ რამაზ გახოკიძის მიერ შექმნილი აგროტექნოლოგიითა და ბიოპრეპარატებით საქართველოს ეძლევა შანსი, დაიწყოს ახალი მოძრაობა „ბიოორგანული მწვანე რევოლუცია“.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრები: გოგოლა მარგველაშვილი, ოთარ ლიპარტელიანი, ჟუმბერ ონიანი, პაატა კოღუაშვილი;**

**მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: მამანტი როგავა, თამაზ მეგრელიძე, არჩილ ჭოლოშვილი, ალეკო ღონღაძე.**

## რეპლიკა

### ტელეპროპაგანდის წიაღ

**სახარე ხბოს სასკორეში შეეტყობა, გვმოძღვრავს ქართული ანდაზა. მისი მოვარგებით, სადეპუტატოს წინასაარჩევნო განცხადებაც წარმოაჩენსო — გამოგვცემა...**

**ტრიალებს, ტრიალებს — განა მარტო წუთისოფელი, სარეკლამო-საპარლამენტო კლიპიც ტრიალებს ტელეეკრანზე და ერთი სიმპათიური ქალბატონის დაპირებებს ავედევნე ფიქრით: ჩვენი მოთხოვნები განვითარება, წინსვლა (გასამება შეიძლებოდა პროგრესის დამატებით — ბ. ბ.), ახალგაზრდების ხელშეწყობა, მოხუცების პატივისცემა... ფორმალურად ვერაფერს ვერ შეედავები, მაგრამ ეს ხომ ზოგადი, დაზმამული სიტყვებია, ფაქტობრივად, არაფრისმთქმელი და ნაძალადევი...**

**კონკრეტული რაიონისთვის თუ ჩვენს დროში უკეთესი ტელერეკლამა ვერ მოიგონეს ის სიმპათიური ქალბატონისთვის — ვერაფერი შეიძლ წინასაარჩევნო შტაბი ჰყოლია და ეგ არის... „ვინც იქ შევიდა, რა გააკეთა, ვინ მოაშორა ქვეყანას ჭირი“...**

**ბერდია ბედოიძე**

## ალიან-ჩალიანი

### თბილისის საკრებულოში შუალედური არჩევნები აღარ ჩატარდება

**„საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლითაც მთლიანად იცვლება საკრებულოებში გამოკლებული მაჟორიტარი დეპუტატის ადგილმონაცვლის არჩევის წესი, საკითხის ერთ-ერთ ავტორსა და ინიციატორს ირინა იმერლიშვილს უკან გააქვს. შესაბამისად, დღის წესრიგიდან იხსნება ივნისის თვეში, ექვს თვითმმართველ ერთეულში — მათ შორის თბილისში საკრებულოს შუალედური არჩევნების ჩატარების საკითხი.**

**როგორც დეპუტატმა განმარტა, იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციების და თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, აღნიშნული კანონპროექტიდან გამომდინარე ტექნიკური ხასიათის პრობლემების წარმოქმნის შესახებ, გადაწყდა, რომ მას პარლამენტი ამ ეტაპზე აღარ მიიღებს. თავად იმერლიშვილი ვერავითარ ტექნიკურ პრობლემას ვერ ხედავს, თუმცა, ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ დღევანდელი მმართველი გუნდი ხელს გადაგრეხის პრინციპით არ მოქმედებს.**

### ბათუმის მერია ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში გადადის

**ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მერიის გადასვლის გადაწყვეტილება შენობის სპეციფიკიდან გამომდინარე იქნა მიღებული, — ამის შესახებ ჟურნალისტებს თათბირის სხდომის დასრულების შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განუცხადა.**

**ბათუმის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, სადაც სამშენებლო სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა, ბათუმის მერია გადავა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## გამრავლება – ერის მთავარი პრობლემა

# საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ფონდს ყველა ქართველი უნდა შეეწიოს!

(მეოთხე გვერდიდან) იყო გამოხმაურება. მაგრამ პრაქტიკული საქმე არ მოჰყოლია. არადა, ნამდვილად არ არის წყალს გასაყოლებელი იდეა-თაოსნობა, მას შემდეგ თითქმის 5 წელი გავიდა, და იმ მოწოდებაზე ხელმომწერთაგან სამმა: მიტუშა დიდიძემ, მამია შარაშენიძემ და დათო გეგეშიძემ „სათადარიგო სკამზე“, ანუ პენსიონერთა რიგში გადაინაცვლეს. მაგრამ მათ ნაცვლად ახლები შეგვემატა. სამწუხაროდ, ნუგზარ ახობაძე და რეზო ცოტაძე ჩვენ შორის აღარ არიან. ღმერთმა გაანათლოს მათი პატიოსანი სული. მამის ნაცვლად შვილი, ტარიელ ახობაძე შემოგვიერთდა.



დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ ყოფილ ხელისუფლებას მაშინ ელემენტარული მამულიშვილური გრძნობა-გონება რომ გამოეჩინა და მხარი აება, რა თქმა უნდა, დიდ ქართულ ეროვნულ საქმეს დაედებოდა სათავე. მაგრამ, როგორც ყოველთვის, მათი გონება სულ სხვაგან ჰქროდა და კოკასა შიგან რაც არ იდგა, ის როგორ წარმოსდინდებოდა?

ასე რომ, 2012 წლის შუაგულ შემოდგომაზე, საქართველოში მომხდარმა დიდმა პოლიტიკურმა მიწისძვრამ ქართველ ხალხს უკეთესი მომავლის იმედი გაუჩინა და არც შემცდარა, **რამეთუ ქართულად მოაზროვნე ქართველმა მამულიშვილებმა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის 4 თვის თავზე, „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდი“ დააფუძნეს, რომელსაც ჩვენი უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მაღალი ღმერთი ხელს მოუმართავს.**

როგორც ცნობილი გახდა, უნდა შეიქმნას ექსპერტთა საბჭო, რომელსაც ღვაწლმოსილი მამულიშვილი, პროფესორი ანზორ თოთაძე უხელმძღვანელებს.

ახლა ყველას გადაუდებელი ამოცანაა ეროვნული სულისკვეთებისა და თვითშეგნების აღზრდა მამულის საკეთილდღეოდ, რამეთუ უმტერ-უმოყვრო სახელმწიფო ჯერ არ ყოფილა დედამიწაზე...

ზემონათქვამიდან გამომდინარე, სამტრედიელ მევაგონეთა შრომითი კოლექტივის წევრები მივესალმებით და ქართველი ერის ყველა იმედის აღსრულებას ვუსურვებთ ახალი მთავრობის პირმშოს „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდს“ და, **კვლავ მოვუწოდებთ შინ თუ გარეთ მცხოვრებ ქართველებს, რომ ყოველთვიური ხელფასის ერთი პროცენტი, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით გადავურიცხოთ ახალ შექმნილ ფონდს.**

ვთვლით, რომ ყველაფერი ნათლად გამოვთქვით და კიდევ, ბავშვების (შვილების), გაჩენა ოჯახისთვის არ უნდა იყოს წამგებიანი (დეფიციტური), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახში მესამე (და მეტი) შვილის გაჩენამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ოჯახის წევრებზე ნორმალური (ტრადიციული) ხარჯების შემცირება...

ჰოდა, ჩვენს ამ ახალ წერილ-მიმართვას დავასრულებთ ძველი მოწოდების დაბოლოების ოდნავ სახეცვლილი ვარიანტით.

**ღვთისმშობლის წილხვედრ ამ ჩვენს ქვეყანას ქართველები ვაძლევთ სახელს და, ღმერთმა საქართველოს მტერი და ორგული არ მოასწროს, რომ ჩვენს სამშობლოში უმთავრესი ერის უფლება თუ პოზიცია ოდესმე დავთმოთ.**

**ამიტომ უნდა იყოს ის ჩვენი ფონდი ყოველგვარ პარტიულ კუთვნილებაზე მაღლა მდგომი, რომლის მასაზრდოებელ და მამოძრავებელ ძალას უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივი ცხოვრების კიბის ყველა საფეხურზე მდგომი ქართველი – ქვეყნის ხელისუფალთაგან დაწყებული და რიგითი მცხოვრებით დამთავრებული. ამ საღვთო მიზანს დიად საქმეში ერთობის ფონზე, როგორც იტყვიან, ერთი გასროლით არ მოგვიკლავს ყველა ჯურის ეგრეთ წოდებული კოჰაბიტაცია.**

**სამტრედიის ვაგონების სარემონტო-საექსპლუატაციო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები:**

**ისიდორე ჯანელიძე, კოტე მარჯანიშვილი, მურთაზ ჩაგუნავა, ხვიჩა გოგიშვილი, თამაზ დიდიძე, ლაშა ტყეშელაშვილი, იორამ შარაშენიძე, ნიკოლოზ ნიკურაძე, ტარიელ ახობაძე, ზურაბ ბასკანჩალაძე, იგორ ჩხაიძე, თენგიზ კალაძე, მევლუდ ჩაჩუა, ელგუჯა შენგელია, გია ნადირაძე, სოსო ჟვანია, თემურ ღაღანიძე, მალხაზ თურქია, ჭიჭიკო გოგიშვილი, ზურაბ კახაძე**

**სამტრედია, 2013 წლის აპრილი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ივანიშვილი: თბილისი მოსკოვთან პრაგმატული ურთიერთობის დამყარებითაა დაინტერესებული

თბილისი მოსკოვთან პრაგმატული ურთიერთობის დამყარებითაა დაინტერესებული. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა სამშაბათს, როდესაც სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე გამოდიოდა. „რუსეთთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია იქნება კორექტული, მაგრამ პრინციპული. ორივე მხარეს აქვს „წითელი ხაზები“, რომელთა გადალახვასაც ჩვენ არ ვაპირებთ“, – თქვა მან.

პრემიერმა შეგვახსენა, რომ 2010 წელს საქართველომ იკისრა ცალმხრივი ვალდებულება, არ გამოიყენოს ძალა კონფლიქტის გადაწყვეტაში, და ეს ვალდებულება დაადასტურა პარლამენტმა წელს, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქართველოს განზრახული აქვს, დაიბრუნოს თავისი ტერიტორიები მხოლოდ მშვიდობიანი გზით აფხაზეთთან და ოსებთან დიალოგის საფუძველზე“.

ივანიშვილმა უარყო იმის შესაძლებლობა, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, კოსოვოს მაგალითისამებრ, წარმოდგენილი იყვნენ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში. „საქართველოს ამ ორი რეგიონის წარმომადგენლებს შეუძლიათ იყვნენ ევროსაპარლამენტო ასამბლეაში მხოლოდ ქართული დელეგაციის შემადგენლობაში“, – განაცხადა ივანიშვილმა. მისი სიტყვებით, არ გაუქმდება მოქმედი კანონიც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, მაგრამ ის მხოლოდ შერბილდება – მოქალაქეები, რომლებიც ჩამოვლენ საქართველოში აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის გავლით, პირველ შემთხვევაში დაჯარიმდებიან, მეორედ დარღვევის შემდეგ კი მათ მოუწევთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

როდესაც უპასუხებდა შეკითხვას სარკინიგზო მიმოსვლის განახლების პერსპექტივის შესახებ აფხაზეთის გავლით, საქართველოს პრემიერმა თქვა, რომ ამ თემას უნდა მივუდგეთ „აწონილ-დაწონილად, საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით“, თავად გადაწყვეტილება კი ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფორმულა, ივანიშვილის აზრით, შედგება ეკონომიკური ძალისხმევისგან, ისეთი დემოკრატიული საზოგადოების აგებისგან, რაც საქართველოს გადააქცევს საინტერესოდ, უწინარეს ყოვლისა, აფხაზებისა და ოსებისთვის, აგრეთვე რუსეთისა და ევროპისთვის. „მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ, განვიხილოთ ჩვენი ერთობლივი ცხოვრება და დავივიწყოთ ის შეცდომები, რომლებიც ამ წლების განმავლობაში დაუშვა ორივე მხარემ“, – თქვა მან. რაც შეეხება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ვექტორს, „დასავლეთის ინტეგრაცია – ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში – სტრატეგიული არჩევანია და მას ალტერნატივა არ გააჩნია“.

ამას გარდა, ივანიშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან მოუწოდა დეპუტატებს, არ დაუჯერონ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების დეზინფორმაციას პოლიტიკური რეპრესიების შესახებ ახალი ხელისუფლების მხრიდან, დაგვპირდა, რომ არ დავუშვათ ასეთი რამ, აგრეთვე უზრუნველვყოთ დაჩქარებული ტემპით (ხუთი წლის განმავლობაში) 1940-იან წლებში დეპორტირებული თურქი მესხების სამშობლოში დაბრუნება, მიღებული იქნეს ზომები საქართველოს სატრანზიტო როლის გაზრდისთვის კასპიის ენერგოშემცველების მიწოდებაში ევროპისთვის, უზრუნველვყოთ საქართველოში ყველა ეთნიკური უმცირესობის თანასწორუფლებიანობა, აგრეთვე მივაღწიოთ რეგიონალური ენების შესახებ კანონის რატიფიკაციას.

НЕЗАВИСИМАЯ газета

## ალიან-ჩალიანი

# დემაგოგი თუ გაუთვითცნობიერებელი გუბერნატორი?

**სოფელ ქერეში, სადაც რუსმა მესაზღვრეებმა ორი ადამიანი დააკავეს და ცხინვალში გადაიყვანეს, შიდა ქართლის ახლად დანიშნული გუბერნატორი ზურაბ ჩხეიძე ჩავიდა.**

ზურაბ ჩხეიძის განცხადებით, ხელისუფლებამ და პოლიციამ ყველა ბერკეტი უნდა გამოიყენონ, რათა ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა მაქსიმალურად იყოს დაცული და შეუზღუდავად გადაადგილება შეეძლოთ.

ჩხეიძის განცხადებით, ამ ეტაპზე არ კეთდება ყველაფერი, რომ საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებლები და რამდენიმე დღის წინათ დაკავებულები უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს. გუბერნატორი ამბობს, რომ სოფელ ქერესთან დაკავებული ლაფაჩი და ელიკაშვილი რამდენიმე დღეა, ცხინვალის საპატიმროში იმყოფებიან, თუმცა პოლიციამ მოლაპარაკების საფუძველზე მათი გათავისუფლება ვერ შეძლო.

ამასთან, ჩხეიძის აღნიშნულ განცხადებას უსაფუძვლოს უწოდებს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი. დვალიშვილის თქმით, როცა გუბერნატორი ჩხეიძე სოფელ ქერეში ამ განცხადებას აკეთებდა, არსენ ლაფაჩი, გაიოზ ელიკაშვილი და კიდევ ერთი პირი, დიმიტრი გინტური გათავისუფლებული იყვნენ.

ინტერპრესი

## დედამიწის ზურგზე



**ინდოეთში ტაჯ-მაჰალის მავზოლეუმის მახლობლად აფეთქებამ ორი კაცი იმსხვერპლა**

ინციდენტი მოხდა ჯართის საყრელთან, რომელიც ტაჯ-მაჰალიდან 1,5 კილომეტრითაა დაშორებული. ორი მუშა ადგილზე დაიღუპა, კიდევ ერთმა მძიმე ჭრილობა მიიღო. სხვა მონაცემებით ოთხია დაზარალებული. ადგილზე მუშაობს პოლიცია, რომელიც სწავლობს საგანგებო შემთხვევის ყველა ვითარებას.

* * *

**ამერიკელ წამყვანზე ტაციობაა მას შემდეგ, რაც იგი პირველსავე სამუშაო დღეს გაათავისუფლეს ეთერში გინების გამო**



ეი ჯეი კლემენტიმ შეიგინა ჯერ კიდევ მანამ, სანამ მას მაყურებელს წარუდგენდნენ, არ იცოდა, რომ მიკროფონი ჩართული იყო. მას შემდეგ, რაც არხის ხელმძღვანელობამ იგი გაათავისუფლა, მაყურებლებმა მოაწყვეს მთელი კამპანია „ახალწვეულის“ მხარდასაჭერად, რომელსაც ახლა სინდისის ქენჯნა აწუხებს. მალე კი დაიწყეს მისი მიწვევა პოპულარულ თოქ-შოუებზე და ახალი სამუშაოს შეთავაზება.

* * *

**აშშ-ში ძმები ცარნაევების დედას დაპატიმრება ემუქრება – მას თავისი კრიმინალური ისტორია აქვს**



ბოსტონის ერთ-ერთი რაიონის სასამართლოში ჟურნალისტებს აცნობეს, რომ ბოსტონელი ტერორისტების დედა ზუბეიდათ ცარნაევა არ გამოცხადდა 2012 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე, სადაც უნდა განხილულიყო მისი ბრალდების საქმე ბოსტონის მაღაზიიდან 1600 დოლარის ღირებულების ტანსაცმლის ქურდობისთვის.

* * *

**აშშ-ში განსაზღვრეს 2013 წლის ყველაზე პრესტიჟული და ყველაზე უარესი პროფესიები**

ყველაზე პრესტიჟულად მიჩნეულია აქტუარიუმის სპეციალობა (სადაზღვევო მათემატიკის სპეციალისტისა). სიაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა ბიოსამედიცინო ინჟინერი. ყველაზე პრესტიჟული პროფესიის სამეულს ხურავს ოტოლარინგოლოგი, ყველაზე უარესად მიჩნეული საგაზეთო რეპორტიორის პროფესია.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# „დალამდებოდა თუ არა, მოვიდოდა კატაფალკა და მიასვენებდა გარდაცვლილს"

**ყოფილი პატიმარი რევაზ ბრეგვაძე გლდანის მე-8 დაწესებულების რეჟიმის ყოფილ უფროსს ოლეგ ფაცაციას და მის მოადგილეს გიორგი კვარაცხელიას ძალადობაში ადანაშაულებს. ფაცაციამ ბრეგვაძეს ჯერ თავის კაბინეტში სცემა, შემდეგ კი მას კვარაცხელიამ ფეხით მარცხენა მკლავი მოტეხა. 26 წლის პატიმარს ცემის შედეგად მარცხენა ხელ-ფეხი პარალიზებული ჰქონდა. რევაზ ბრეგვაძე 2012 წლის 4 აპრილს ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 2-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. ბრეგვაძემ საპატიმრო 2013 წლის 22 იანვარს ამნისტიის შედეგად დატოვა.**

**რევაზ ბრეგვაძე:** რესტორანში შელაპარაკება მომივიდა გვერდზე სუფრასთან მსხდომ ადამიანებთან, რაც ჩხუბში გადაიზარდა. 4 დღეში დამიჭირეს. 6 აპრილს მომისაჯეს 40-დღიანი წინასწარი პატიმრობა. სასამართლო დარბაზიდან გლდანის მე-8 დაწესებულების კარანტინში გადამიყვანეს. როგორც კი ციხის კარები გაიღო, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მაშინვე დამიწყეს გინება.

**— რატომ გაგინებდნენ?**

— გრძელ თმებს და წვერებს ვატარებდი, ამის გამო მაგინეს. საერთოდ გამატიტვლეს და შემიყვანეს ფუქსებში.

**— ფუქსები რა არის?**

— ეს არის ცარიელი ოთახი. სადაც 3 საათი გამაჩერეს და იცით როგორ მდგომარეობაში ვიყავი ეს 3 საათი? კედლისკენ ვიყავი მიბრუნებული, ხელები უკან მქონდა. იქიდან, რომ გადამიყვანეს, მოვიდა ადმინისტრაციის თანამშრომელი, რომელსაც „ბასტის" ეძახდნენ, რომ შემომხედა, გინება დამიწყო და თანამშრომლებს უთხრა, ამას თმები გადაპარსეთო. ვუთხარი, რომ კამერაში ჩავალ და ჩემით გადავიპარსავ-მეთქი. ეს რამდენს ლაპარაკობსო და, დამიწყეს ცემა. უმოწყალოდ მირტყამდა 5 კაცი.

**— ვინ იყვნენ ეს ადამიანები?**

— ერთი იყო „ლისი" ასე ეძახდნენ, ის მირტყამდა უმოწყალოდ. ამ პიროვნებაზე ამბობდნენ, რომ ციხეში ცხოვრობს, პატიმრების შიშით გარეთ ვერ გადისო. მაინც გადამპარსეს თმები და ჩამიყვანეს კარცერში. როგორც კი შევედი, პატიმრებმა ცხვირზე ხელები აიფარეს და ჩუმად მითხრეს, არ ილაპარაკო, თორემ ყველას გვცემენო. ამდენი ცემისგან განერვიულებული ვიყავი და წამოვწექი, ამაზეც მითხრეს, რომ ჩქარა ადექი, რას აკეთებ, გვცემენო. პირველად მოვხვდი ასეთ ვითარებაში, მანამდე არანაირი შეხება არ მქონია არც პოლიციასთან და არც სასჯელაღსრულებასთან.

იქ იყო უსაზიზღრესი ადამიანი გვარად ჩიჩუა, თვითონ თანამშრომლები აყენებდნენ შეურაცხოფას, სულ გვაგინებდა. კრიტში ყოფნის დროს შემოვიდნენ ოფიცრები მამა-შვილი, კახელები იყვნენ. მათ თან ახლდა 10 კაცი, ეს არ ისვენებსო და მცემეს. საშინლად მახსენდება ე.წ. კარანტინის დაშლა.

**— და რა ხდებოდა ამ დროს?**

— წარმოიდგინეთ, ყველაფრის რიგში ვარ ნადგომი, მაგრამ ცემის რიგში დადგომა წარმოუდგენელია. ფურცლები გვიჭირავს ხელში, სადაც წერია ჩვენი სახელი, გვარი და რაზე ხარ დაკავებული. დგახარ და ელოდები როდის მოვა შენი რიგი, რომ გცემონ. სათითაოდ გაჰყავთ პატიმრები, ცემენ და ამის შემდეგ შეჰყავთ კამერაში. გცემდნენ იმის მიხედვით, რა მუხლით იყავი გასამართლებული. როდესაც ჩემი რიგი მოვიდა, ვუთხარი ხულიგნობის მუხლით ვარ გასამართლებული-თქო, არ ვიცი რა იყო ასეთი, კინაღამ მომკლეს, დუბინკებით მცემს. მერე წამაქციეს და წიხლები მირტყეს.

**— კონკრეტული პიროვნებები შეგიძლიათ დაასახელოთ?**

— ეს იყო რეჟიმის უფროსი ოლეგ ფაცაცია. პირადად ის მირტყამდა. უკნიდან ვინც მირტყამდა იმის სახელი და გვარი არ ვიცი, მაგრამ რომ ვნახო, ყველას ვიცნობ. ისე მცემა ფაცაციამ, რომ აკანკალებული შევედი გასანაწილებელ ოთახში. C კორპუსში მოვხვდი, აქ ჰყავდათ მრავალჯერ ნასამართლევი ადამიანები. რომ შევედი იქაც გამაფრთხილეს, რომ ხმა არ ამოიღოო. საღამოს 10 საათზე შუქი ჩააქრეს და დაიყვირეს, დაწექითო. დილის 7 საათზე პური უნდა აგველო და ვდგებოდით. რეალურად, დილის 7 საათიდან ღამის 10 საათამდე ველარ ვწვებოდით და ვერც ვლაპარაკობდით.

სააბაზანოში რომ გაგვიყვანდნენ, გახდა, დაბანა, გამშრალება და ჩაცმა 2 წუთში უნდა მოგვესწრო. თუ ვერ მოასწრებდი, იქვე გცემდნენ. როგორც შეგვეძლო, ვცდილობდით, რომ 2 წუთში მოგვესწრო ყველაფერი. ერთ დღეს საბაზანოდან ვბრუნდებოდით კამერაში, სველ პირსახოცებს კარადაში ვერ ვდებდით, საშინელი სუნი დგებოდა. ერთ-ერთმა პატიმარმა გარეთ დადო გასაშრობად. უცებ გაიღო კარები და რომ დაინახა ეს პირსახოცი ფანჯრის ახლოს იდო გასაშრობად, იკითხა ვისიაო, ამ პატიმარმა უთხრა, ჩემიაო.

**— ვინ გააღო კარები?**

— ოფიცერმა „ყანამ". ამის გამო დაარტყა, კუჭის ნაოპერაციები იყო, ჩაიკეცა სიმწრისგან. ჩვენ ფეხზე ვიდექით და ვუყურებდით როგორ სცემდა. ვერაფერს იზამდი, რომ მიხმარებოდი, მოგკლავდნენ. თავზე რომ გაფურთხებდნენ, ვერ ბედავდი რამე გეთქვა. ამ „ყანამ" ყველას დაარტყა. 60 წლის კაცი იყო ჩვენს საკანში და ისიც ცემა. შემდეგ მოვიდა ჩემთან და მითხრა, შენ ამხელა ხარ და არ უნდა უთხრა, რომ ეს არ უნდა ქნასო? აღნაგობის გამო მითხრა. არაფერი მითქვას, ხელები უკან მქონდა და თავჩაღუნული ვიდექი მის წინ. არაფერი, რომ არ ვუთხარი, ამაზე მცემა.

**— ანუ გცემათ იმიტომ, რომ თანასაკნელს არ უთხარით, რომ პირსახოცი გასაშრობად ფანჯარასთან არ უნდა დაეკიდა?**

— დიახ. ეს დღე საშინელება იყო. 21 ივნისს ოფიცერმა ქობალიამ მთელი კამერა გარეთ გაგვიყვანა. რეჟიმის უფროსი ოლეგ ფაცაცია და მისი მოადგილე გიორგი კვარაცხელია იყვნენ მოსულები. კვარაცხელია, პარალელურად, მე-3 კორპუსის ოფიცერი იყო. ნაწილი აბაზანაში შეიყვანეს, იქიდან გვესმოდა ცემის და პატიმრების ყვირილის ხმა.

**— აბაზანაში რატომ შეჰყავდათ საცემად?**

— იქ კამერები არ იყო დამონტაჟებული. დღეში 10-15 ჯერ გვესმოდა ცემის ხმა აბაზანიდან და ეს მარტო ჩემს სართულზე. საშინელება ხდებოდა A და B კორპუსებში. საშინელი ხმები გვესმოდა. პატიმრის კივილი და არა მარტო ერთი პატიმრის, რამოდენიმე ერთად კიოდა, ვაიმე, მოვკვდიო! ქობალიამ რომ გაგვიყვანა, 7 კაცი აბაზანაში შეიყვანეს, მე თვითონ ოფიცრის ოთახში შემიყვანეს, არც იქ არ იყო კამერა. იქ დამხვდნენ ოლეგ ფაცაცია და გიორგი კვარაცხელია. თავდაპირველად დამიწყეს საუბარი ვინ გავიწროვებსო, რაზეც ვუთხარი, არავინ მავიწროებს-მეთქი.

**— რატომ დაიწყეს მათ თქვენთან ასეთი საუბარი, გავიწროებდნენ კამერაში?**

— არავინ არ მავიწროებდა. პირიქით, მორწმუნე კამერა ვიყავით და ეს ვუთხარი. არა, შენ ვიღაცა გავიწროებს კა-



მერაში და არ გვეუბნებიო. მერე მეუბნება, რომ შენ კი არ გავიწროებენო, შენ ავიწროებ, ბიჭო, ვიღაცებსო, საჩივარი შემოვიდა შენზეო.

**— რეალურად ასე იყო?**

— როცა ხმის ამოღების და დაჯდომის უფლება არ გაქვს, როგორ შეიძლებოდა იქ ვინმე შეგევიწროებინა? არ არსებობდა ასეთი რამე, ამას იქ ვერ გაბედავდი. ამის გამო ფაცაციამ და კვარაცხელიამ იმდენი მირტყეს, რომ ლამის, მომკლეს. თავში მირტყამდნენ. მერე წამაქციეს და წიხლებით გააგრძელეს ცემა. მეორე დღეს ისევ გააგრძელეს ჩემი ცემა, მაგრამ, უკვე, წყლით სავსე ბოთლებით. გიორგი კვარაცხელია იყო საშინელი ადამიანი. ამ ცემის დროს კვარაცხელიამ უთხრა ფაცაციას, რომ ამას მე მოვუვლი, ჩემთან წავიყვან კორპუსშიო. ფაცაციამ თქვა, კარცერში ჩააგდეთ ამის დედა მ..... ოფიცერმა ქობალიამ უთხრა, რომ გულით ავადმყოფია და კარცერში ვერ გაძლებს, მოკვდებაო. ამიტომ, გადამიყვანეს სხვა კორპუსში. მესამე სართულზე B კორპუსში მოვხდი. კვარაცხელიამ მითხრა, ნახე, რა უნდა გიყოო და მაგინებდა საზიზღარი სიტყვებით.

**— არ ჰკითხეთ, რატომ ჰქონდათ ასეთი აგრესია თქვენს მიმართ?**

— ვერ შეეკითხებოდი. ეს რომ გეკითხა, ჩათვალე, რომ მოგკლავდნენ. ისე ვიყავი ნაცემი, რომ სიმწრისგან ხელები მიკანკალებდა. მაშინ გიორგი კვარაცხელიამ მითხრა, კარგი დაწყნარდი, ჩამოდევი ხელი მაგიდაზე და დამშვიდდიო, მერე კი უცებ ფეხი დამარტყა და მომატეხა მარცხენა ხელი.

სიმწრისგან ძირს დავვარდი, ფეხსაცმლის წვერებს მირტყამდა ნეკნებში. საშინელ მდგომარეობაში ვიყავი, ბიჭები მეხმარებოდნენ გადაადგილებაში. ხელი ცუდად შემიხორცდა და დღესაც ვერ ვიმორჩილებ მარცხენას.

**— ძალიან ბევრი პატიმარი არადამიანურ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს ციხის ექიმებს. როგორი იყო გლდანის ციხის მედპერსონალი?**

— ერთხელ ცემისგან გული წამივიდა. თანასაკნელებმა დაუძახეს ექიმს, რომ მოვიდა, მახსოვს, ექიმმა თქვა ასეთი რაღაცა — აბა რომელი იპრანჭება? აფერისტობს, ბიჭო, წამოდექი ფეხზე, არაფერი არ გჭირსო. ვალიდოლს, ან ვალერიანს გაძლევდნენ. თუ შენით არ გამოკეთდებოდი და არ მოხვიდოდი აზრზე, მაგათ იმედზე არ უნდა ყოფილიყავი.

**— როცა გლდანის ციხიდან რუსთავის მე-17 დაწესებულებაში გადაგიყვანეს, იქაც ანალოგიური ვითარება იყო?**

— გლდანთან შედარებით, ნორმალური სიტუაცია იყო. რუსთავში არანაირი ფიზიკური ძალადობა ჩემს მიმართ არ ყოფილა. რუსთავში რომ გადამიყვანეს, ამდენი ცემის და ნერვიულობის შედეგად გამიჩერდა ხელ-ფეხი და დავკარგე გონება. მაშინ დამეხმარნენ პოლიტპატიმარი შალვა გოგინაშვილი და რუდიკ ოვაკინიანი. დაგამიყვანეს ე.წ. ბალნიჩკაზე. ნახევრად მკვდარი ვიყავი, მეტყველება მიჭირდა. მარცხენა ხელ-ფეხზე მგრძნობელობა მქონდა დაკარგული, გაშავებული მქონდა ხელ-ფეხი, სისხლით მქონდა თვალები დაფარული. ამ ბიჭებმა გადარეკეს დაჩი ცაგურიასთან და მისი დახმარებით მოხდა ჩემი ეტაპირება „ნიუ-ჰოსპიტალში". 3 დღის მერე დამაბრუნეს. მომცეს სისხლის და შარდის ანალიზი. ჩემთვის ანალიზი არ აუღიათ და ისე დადეს პასუხები.

**— როგორც ამბობთ თქვენს ცემასა და წამებაში მონაწილეობდა გიორგი კვარაცხელია, ოლეგ ფაცაცია და ვინმე „ყანა". თუ მიმართეთ პროკურატურას და რა ეტაპზეა ახლა თქვენი საქმე?**

— პროკურატურაში გადავაგზავნე საქმე. მაგრამ ამ დრომდე პროკურატურიდან არავინ შემხმიანებია. ვითხოვ ამ ადამიანების დასჯას და კომპენსაციას. ამ ადამიანებს არ უნდა შერჩეთ არა მარტო ჩემი, არამედ ათასობით ადამიანის წამება.

**— პატიმრებზე განხორციელებული ძალადობის ბრალდებით, დაკავებულები არიან კვარაცხელია და ფაცაცია, მაგრამ ისინი ბრალს არ აღიარებენ...**

— ისინი ციხიდან არ უნდა გამოვიდნენ. მე მარტო არა ვარ ნაწამები. ვიცი, რომ ძალიან ბევრმა ადამიანმა შეიტანა საჩელი.

**— ოლეგ ფაცაციაზე ლეგენდები დადის, რომ მას წამების განსხვავებული სასტიკი ზომები ჰქონდა...**

— ნამდვილად ასეა. ასეთივე სადისტი იყო ვინმე „ქოსა". ის არის ერთ-ერთი მკვლელი. მე B კორპუსიდან ვუყურებდი ციხის საავადმყოფოს. კვირაში 2 მიცვალებული გაჰყავდათ. დაღამდებოდა თუ არა, მოვიდოდა კატაფალკა და მიასვენებდა გარდაცვლილს.

**— პატიმრები ამბობენ, რომ იყო შემთხვევა, როდესაც ფაცაციას ცემისგან შემოაკვდა პატიმარი, რეალურია ეს ინფორმაცია?**

— მე ასეთ რამეს არ შევსწრებივარ, მაგრამ ძალიან ბევრჯერ გამიგია ეს ინფორმაცია და ძალიან ბევრჯერ მომხდარა ასეთი რამ. ისე ცემდა ადამიანებს, რომ აუცილებლად მოკლავდა ვიღაცას. ისეთ ძალადობას, რომელიც ჩემს მიმართ განხორციელდა, მერწმუნეთ, რომ ბევრი ვერ გაუძლებდა. რეჟიმი სასტიკი გახდა ბურჯანაძის აქციების შემდეგ. იმ საღამოს შევიდნენ კამერებში და აბსოლუტურად ყველა პატიმარს სცემეს.

**— ჩვენ ვნახეთ ცემის კადრები, სადაც ფიგურირებენ ფაცაცია, მუხაძე, მკურნალიძე, ჭაკუა და სხვები. ვნახეთ გაუპატიურების კადრებიც. ნამდვილად იყო იქ გაუპატიურების ფაქტები?**

— ჩემი თვალით ასეთი რამ არ მინახავს. მე ასე ვიცოდი, რომ გაუპატიურების ფაქტები უფრო ქსანში ხდებოდა. გლდანში ვერც გაიგებდი, ისეთი ჩაკეტილი ვითარება იყო. ადვოკატთან შეხვედრაზე გასვლისას ნაცნობისთვის გამარჯობა რომ გეთქვა, მაშინვე კარცერში გიშვებდნენ.

**— როდესაც ტელევიზიით გავრცელდა წამების კადრები, როგორი იყო პატიმრების რეაქცია?**

— პირველი რეაქცია იყო ის, რომ იქნებ გვეშველოს და დავაღწიოთ ამ უბედურებას თავიო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, გლდანში არსებულ განუკითხაობას და სისასტიკეს თუ რამე დაანგრევდა.

**— ხათუნა კალმახელიძე შემოდიოდა?**

— საერთოდ არ მინახავს. ჩვენს კორპუსში არც მოიყვანდნენ. ის უფრო E კორპუსში დაჰყავდათ.

**— ამბობენ, რომ ხშირად შედიოდნენ ახალაია და ქარდავა...**

— ამბობდნენ, მაგრამ მე არ მინახავს ისინი. ადვოკატებთან შეხვედრიდან დაბრუნების შემდეგ ხშირად უთქვამთ პატიმრებს, ახალაია იყოო.

**თამთა ქარჩავა**

**ალიან-ჩალიანი**

## ვინ დააზიანა ფიჭვის ხეები?

**მთაწმინდაზე, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩაზე ათობით ფიჭვის ხე დაზიანებულია, — ამის შესახებ ინფორმაციას „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველო" ავრცელებს.**

**ხეების დაზიანების მიზეზი ამ დრომდე უცნობია. „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველო" მერიის შესაბამის სამსახურებს აღნიშნული საკითხის შესწავლისაკენ მოუწოდებს.**



**— მივიღეთ ინფორმაცია, რომ მთაწმინდის რაიონში, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩაზე (ე.წ. ახალი გზა), დაზიანებული იყო ათობით ხე. ჩვენ ადგილზე დავათვალიერეთ და სურათებიც გადავუღეთ ხეებს. გზის გასწვრივ მდგომ ფიჭვებს მართლაც აღენიშნება დაზიანება, თუმცა გაურკვეველია, რა გახდა ამის მიზეზი. მოვუწოდებთ თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებს, შეისწავლონ აღნიშნულ მისამართზე არსებული მდგომარეობა, — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში, რომელიც facebook-ის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.**

**ინტერპრესი**

◉ თანამშრომლობა

# „სოკართან“ პარტნიორობით



**საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს დიდი მიზნები აქვს დასახული: 2016 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის დაიწყო მზადების ახალი ოლიმპიური ციკლი, წლეულს ახალგაზრდა სპორტსმენები ჰოლანდიურ უტრეხტში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე მოსინჯავენ ძალებს, ორი წლის შემდეგ კი ახალგაზრდების მსგავს სპორტულ ფორუმს თბილისი უმასპინძლებს.**

წარმატების მისაღწევად თითოეული ღონისძიებისთვის სათანადოდ მომზადებაა საჭირო, საამისოდ კი სპორტულ ორგანიზაციებს ღონიერი თანამდგომი სჭირდებათ. ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ამიერიდან ნავთობპროდუქტების კომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ დაეხმარება. სწორედ ამ კომპანიის ოფისში მოეწერა ხელი „სოკარსა“ და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის თანახმადაც ნავთობკომპანია ერთი წლის განმავლობაში სეოკ-ის ოფიციალური პარტნიორი იქნება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მასმედიის წარმომადგენელთა შეკითხვებს „სოკარის“ ქართული წარმომადგენლობის დირექტორმა მაირ მამედოვმა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ უპასუხეს.

ღონისძიებას დაესწრნენ ოლიმპიური ჩემპიონები: სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი ნინო სალუქვაძე, რომან რურუა, რობერტ შავლაყაძე, კახი კახიაშვილი.

**გიორგი გაგუა**

◉ წყალბურთი

# დღეიდან „ოლიმპიკში“

**საქართველოს 1996-1997 წლებში დაბადებული წყალბურთელები იოვან პოპოვიჩისა და ირაკლი ბაქრაძის ხელმძღვანელობით 2013 წლის ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადებიან. ეს შეჯიბრება თბილისში 9-12 მაისს გაიმართება.** იქ ორი საგზურისთვის მასპინძელთა გუნდთან ერთად იბრძოლებენ გერმანია, ჰოლანდია, სლოვაკეთი და მოლდოვა. იმ პაექრობებამდე ჩვენი ბიჭები (ბექა ჭოლოკავა, ირაკლი რაზმაძე, ანდრია ბითაძე, გიორგი გაბადაძე, ხვიჩა ჯახაია, ზურაბ ჩიკვაიძე, დავით რევია, რევაზ იმნაიშვილი, გიორგი მაგრაქველიძე, ირაკლი მარგველაშვილი, ლევან მოსეშვილი, გიორგი ზაქარეიშვილი და ლუკა ჯანჯღავა) 26-28 აპრილს ცნობილი ქართველი წყალბურთელის – ნოდარ გვახარიას სახელობის ტრადიციული თასის გათამაშებაში ყაზახეთთან, ჩეხეთსა და ისრაელთან მოსინჯავენ ძალებს. ამ ორთაბრძოლებსაც საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი“ უმასპინძლებს.

სამი თვეა, საქართველოს ნაკრების წევრები ამ ტურნირებისთვის ემზადებიან და დღეში ორჯერადი ვარჯიშები ჰქონდათ. საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გუნდი ახლახან სერბეთში იყო ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე. ბიჭებმა ეს პერიოდიც ნაყოფიერად გამოიყენეს როგორც ოსტატობის ასამაღლებლად, ისე სათამაშო პრაქტიკის გასამდიდრებლად: „პარტიზანის“ ახალგაზრდულ გუნდს ერთი შეხვედრა 3 ბურთის სხვაობით მოუგეს, ერთიც უფრო ნაკლები ანგარიშით დათმეს. „ვოივოდინასთან“ ორჯერ წარმატებას მიაღწიეს და ერთი



ორთაბრძოლაც ფრედ დაასრულეს, ბოლო ბრძოლაში კი სერბეთის „სპარტაკს“ 12:8 სძლიეს.

დღეიდან „ოლიმპიკში“ გვახარიას თასის გათამაშებას მოემსახურებიან: დელეგატი აპოსტოლოს სანტასი (საბერძნეთი), მსაჯები: ევგენი ბობკოვი (ბელარუსი), ირაკლი კიკალიშვილი (საქართველო), ალკის ალკივიადესი (კვიპროსი), იავორ ნესტოროვი (ბულგარეთი).

**შეხვედრათა განრიგი**

**26 აპრილი.** ისრაელი – ჩეხეთი 17.30), საქართველო – ყაზახეთი (19.00).

**27 აპრილი.** ყაზახეთი – ჩეხეთი (17.30), საქართველო – ისრაელი (19.00).

**28 აპრილი.** ისრაელი – ყაზახეთი (10.00), საქართველო – ჩეხეთი (11.30).

**ლექსო ცინცაძე**

◉ მკლავჭიდი

# ღონიერი სტუდენტობა

**საქართველოს ოცდახუთი უმაღლესი სასწავლებელის სტუდენტები მონაწილეობდნენ მკლავჭიდელთა ღია პირველობაში, რომელიც სპორტკომპლექს „არენაში“ გაიმართა. გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ როგორც მარჯვენა მკლავით, ისე ცაციათი.**

**გოგონები.** 1. ნინო მახარაძე (საქართველოს უნივერსიტეტი), 2. ეკა გიორგაძე (პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია), 3. თამუნა კირკიტაძე (ანდრია პირველწოდებელის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, სანგუ).

**ვაჟები. მარჯვენა მკლავით.**

**65 კგ.** 1. ნიკა წერეთელი (თსუ), 2. გიორგი გოჩავა (აგრარული უნივერსიტეტი), 3. ლორენცო ქობალია (სტუ).

**75 კგ.** 1. ნიკა წერეთელი (თსუ), 2. ილია ალბუთაშვილი (შავი ზღვა), 3. მიხეილ ფუხაშვილი (სეუ).

**80 კგ.** 1. ვახტანგ ბერიძე (აგრარული უნივერსიტეტი), 2. დიმიტრი ლიპარტელიანი (თსუ), 3. თორნიკე აფციაური (დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია „ეთა“).

**90 კგ.** 1. ლაშა დორეული (თსუ),2. ვახტანგ ბერიძე (აგრარული უნივერსიტეტი), 3. გოჩა ხაიკაშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი),

**+90 კგ.** 1. ვასილ დაუთაშვილი (სტუ), 2. ვალერი გობეჯიშვილი (საავიაციო უნივერსიტეტი), 3. ლევან ყოჩიაშვილი ( აგრარული უნივერსიტეტი).

**მარცხენა მკლავით.**

**65 კგ.** 1. ნიკა წერეთელი (თსუ), 2. ბექა ღვინიაშვილი (თელავის უნივერსიტეტი), 3. ტარიელ ღუდუშაური (სტუ).

**75 კგ.** 1. ილია ალბუთაშვილი (შავი ზღვა), 2. იაროსლავ ფალიანი ( აგრარული უნივერსიტეტი), 3. ნიკოლოზ კლდიაშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

**80 კგ.** 1.ვახტანგ ბერიძე (აგრარული უნივერსიტეტი), 2. დიმიტრი ლიპარტელიანი (თსუ), 3. თორნიკე აფციაური (დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის აკადემია „ეთა“).

**90 კგ.** 1. ვახტანგ ბერიძე ( აგრარული უნივერსიტეტი), 2. ლაშა დორეული (თსუ), 3. ალექსანდრე ნებიერიძე (სამედიცინო უნივერსიტეტი).

**+90 კგ.** 1. ვალერი გობეჯიშვილი საავიაციო უნივერსიტეტი), 2. ვასილ დაუთაშვილი (სტუ), 3.დავით კილაძე (გორის უნივერსიტეტი).

**ლევან გოცაძე**



◉ ფეხბურთი

# ბუნდეს შოკი



**ხშირად გვსმენია, რომელია საუკეთესო საფეხბურთო საკლუბო ჩემპონატი ევროპაშიო.**

„სერია-ა“?, პრემიერლიგა?, პრიმერადივიზიონი?, ბუნდესლიგა?

დიახ, წლეულს ეს უკანასკნელი, რამეთუ, თუ სასწაული არ მოხდა, 25 მაისს „უემბლიზე“ ჩემპიონთა ლიგის გერმანული ფინალი გათამაშდება მიუნხენის „ბაიერნსა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ შორის.

ბავარიელთა საგმირო საქმეზე უკვე ვისაუბრეთ. მოდით, ახლა მათ თანამემამულეებსაც შევაწიოთ ერთი-ორი სიტყვა.

**„ბორუსია“ – „რეალი“ 4:1 (1:1)**

**გოლები:** ლევანდოვსკი (4); რონალდუ.

ეს გუნდები ჯგუფურ რაუნდშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც მოვლენები რურელთა სასარგებლოდ განვითარდა – 2:2, 2:1. ასე რომ, იურგენ კლოპის შეგირდთა წარმატება ძნელია შემთხვევითობას მივაწეროთ, მით უმეტეს უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში იქაურ ჩემპიონატში მათი ჰეგემონიისა და თვით „ბაიერნის“ დაბრიყვების გათვალისწინებით, რომელსაც შინაც ამარცხებდა და სტუმრადაც.

განსაკუთრებულ კომპლიმენტს პოლონელი ბომბარდირი ლევანდოვსკი იმსახურებს, რომელიც პირველია, ვინც ნახევარფინალურ სტადიაზე პოკერი შეასრულა. ამით მისი წლევანდელი მონაგარი 10 გოლამდე გაიზარდა და მხოლოდ რონალდუს ჩამორჩება (12 გოლი), რომელმაც ჰუმელსის შეცდომა გამოიყენა.

რაც შეეხება „სამეფო კლუბს“, იგი ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე წინა დღით „ბარსელონა“, მაგრამ ეს სასურველი შედეგის მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა – როგორც ჩანს, ევროპულ ფეხბურთში პრუსიულმა სიომ დაუბერა.

**გიორგი შოთაძე**



◉ სუმო

# ახალგაზრდებმა გვასახელეს

**20 ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა 21-23 წლის სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც პოლონეთის დედაქალაქმა ვარშავამ უმასპინძლა.შეჯიბრებაში საქრთველოს წარმომადგენლებიც ცდიდნენ ძალებს.**

23-წლამდელებში ევროპის ჩემპიონობა ლევან ბერიანიძემ მოიპოვა მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში, ხოლო მძიმე წონაში ზაზა ბალაშვილი ვერცხლის მედალს დაეუფლა. 21-წლამდელებში ზურაბ აქუბარდია ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა (ლევან ბერიანიძე, ზაზა ბალაშვილი, ზურაბ აქუბარდია) გუნდურ ჩათვლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**ლაშა დიდია**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ქართული „ბიზნესი“**

# უკვე გამოყენებულ ზეთს ხელმეორედ ყიდიან

**საქართველოს ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული პროდუქტით, ერთ-ერთი ასეთია საავტომობილო ზეთი.**

**რამდენიმე დღის წინათ პრობლემის განსახილველად ნავთობპროდუქტების კავშირის ინიციატივით „ქორთიარდ მარიოტში“ შეიკრიბნენ ნავთობიმპორტიორები, სპეციალისტები, ხელისუფლების წარმომადგენლები.** იმპორტიორების განცხადებით, დღეს ქვეყანაში საავტომობილო ზეთების ბაზარზე საგანგაშო ვითარებაა. მათივე განმარტებით, ხდება მეორადი (გამონაცვალი) ზეთების გაფილტვრა, ბრენდირებულ ჭურჭელში (ნებისმიერი ლიტრაჟის, თვით 200 ლ. კასრშიც კი) ჩასხმა და რეალიზება ისე, თითქოს ის მაღალხარისხიანი პროდუქტი იყოს. ფალსიფიკაციით ძირითადად საავტომობილო ზეთების გამომცვლელი ობიექტები არიან დაკავებულნი. არადა, ბრენდირებული პროდუქცია ქვეყანაში შემოდის სავსებით ლეგალურად, საბაჟოს ყველა პროცედურის დაცვით.

საქართველოში წარმოდგენილია ყველა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ბრენდი. მომხმარებელს ფართო არჩევანის შესაძლებლობა აქვს. მაგრამ მაღალხარისხიანის მაგივრად, შესაძლოა, მას სულ სხვა რამ მიჰყიდონ, — ამბობს ნავთობის მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი.

„ვისოლი ჯგუფის“ შვილობილი კომპანია „ვიანორის“ დირექტორს გურამ დაფქვიაშვილს მიაჩნია, რომ ზეთების ხარისხთან დაკავშირებით საქართველოში ძალიან ძველი, საბჭოეთის დროინდელი სტანდარტი მოქმედებს. იგი ამბობს, რომ დღეს ქვეყნის ავტოპარკი გაცილებით განახლებულია. სწორედ ამის გამო უნდა გაიზარდოს სტანდარტებზე მოთხოვნა.

ჯერჯერობით კი, რადგან ეს მოთხოვნები დაბალია, შესაბამისად დაბალხარისხიანი პროდუქციაც შემოდის, ამბობს დაფქვიაშვილი და იქვე განმარტავს, — დაბალი ხარისხისა შემოაქვთ იმის გამო, რომ შემდეგ მაღალხარისხიანში აურიონ და ისე (მაღალხარისხიანად) მიჰყიდონ მომხმარებელს. როდესაც ზეთები კასრებით იყიდება, უნდა შემოწმდეს, შეესაბამება თუ არა ხარისხი სერტიფიკატში მინიშნებულ მაჩვენებელს. ბაზრის დაუცველობის გამო, წუხს „ვიანორის“ დირექტორი, ჩვენ იმპორტირებული პროდუქტი საბითუმო ბაზარზე ვერ გაგვაქვს, გვეშინია, არაკეთილსინდისიერად არ გამოიყენონ. ამით კი კომპანიას სერიოზული შემოსავლები აკლდება.

კომპანია „ჯეო ტრონიკის“ ხელმძღვანელი ბაკურ ხუნდაძეც უჩივის საავტომობილო ზეთების ბაზრის დაუცველობას. იგი ამბობს, რომ ხარისხს ქვეყანაში არც ხელისუფლება ითხოვს და არც მომხმარებელი. ბაზარი დაპყრობილი აქვს იაფფასიან და მეორად ზეთებს, რაც ავტომობილებს „სიცოცხლეს“ უმოკლებს.

**იმპორტიორების აზრით, საჭიროა გარკვეული ხარისხის დაწესება ევროქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. ცნობილი ბრენდების იმპორტიორებმა, ექსპერტებმა, სპეციალისტებმა ეს პრობლემა არაერთგზის დააყენეს ახალი ხელისუფლების წინაშე (ძველებთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა), მაგრამ საქმე კვლავ ინერციით მიედინება.**

**ზაზა ბილიხოძე**

**ჩვენი კარაბადინი**

**ტკივილი ზურგში შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება ხერხემალს უნდა მივაპყროთ. ყველაზე ხშირად მტკივნეულ შეგრძნებამდე მივყავართ ოსტეოქონდროზსა და სპონდილოართროზს — დაავადებებს, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.**

# ყურადღება – ხერხემალს

## რით გვემუქრება ოსტეოქონდროზი?

### საიდანაა პრობლემები?

**ოსტეოქონდროზი დიდხანს ხანდაზმულ ადამიანთა ხვედრად იყო მიჩნეული, მაგრამ უკანასკნელ წლებში იგი ელვისებურად ახალგაზრდავდება. ხშირად მის დიაგნოზს უსვამენ ადამიანებს, რომლებიც ეს-ესაა ოცდაათი წლისანი გახდნენ. ექიმები ამაში ბრალს ცხოვრების მცირე მოძრაობის წესს სდებენ, რომელიც, ნებით თუ უნებლიეთ, ბევრის ხვედრია, აგრეთვე, სიმსუქნეს, რაც სულ უფრო და უფრო ვრცელდება.** იჯდე საოფისე სავარძელში, ერთი შეხედვით, გაცილებით იოლია, ვიდრე ფიზიკურ შრომას ეწეოდე. მაგრამ ამ დროს ხერხემალი განიცდის უზარმაზარ დატვირთვას, რაც მრავალგზის იზრდება ზედმეტი წონის დროს. ამის გამო იტანჯებიან მალათაშორისი დისკები. მათში მიმდინარე ცვლილებებით იწყება ავადმყოფობაც.



მალათაშორისი დისკო — ეს არის ხრტილი. როგორც სხვა ნებისმიერი ხრტილოვანი ქსოვილი, იგიც მრავალი უჯრედთაშორისი ნივთიერებისგან, კოლაგენის ბოჭკოსაგან და ელასტინისგან, აგრეთვე ქონდროციტების უჯრედებისგან შედგება. თუმცა, ფორმით ის სხვაგვარია, ვიდრე, მაგალითად, მუხლებში ან თითებს შორის ფალანგებში. კოლაგენის ბოჭკოები მათში მოძრაობენ წრეში, ქმნიან მაგარ ფიბროზულ რგოლს. მის ცენტრშია პულპოზური ბირთვი — უფრო ფხვიერი სტრუქტურა, რომელიც ბურთულას ჰგავს და რომელშიც ბევრი ტენია. მალათაშორისი დისკოს ასეთი „კონსტრუქცია“ მის ამორტიზაციულ თვისებებს უზრუნველყოფს, ხდის ხერხემალს მყარსა და მოქნილს.

ასაკთან ერთად ორგანიზმი კარგავს ტენს, ხრტილი განიწოვება, იქცევა ფენებად და ხდება უფრო ბრტყელი, ამიტომ დისკოს საამორტიზაციო თვისებები მცირდება, თავად იგი კი ბრტყელდება. ასეთ შედეგებამდე შეიძლება მივიდეთ ახალგაზრდობის დროსაც — გაზრდილი დატვირთვების გამო, თანაც როგორც დინამიკური, როდესაც ადამიანი მაღლა სწევს სიმძიმეებს, ისე სტატისტური მდგომარეობის გამო, როდესაც ის მთელი საათობით არის იძულებით უძრავ პოზაში. დისკოს დაზიანებას ხელს უწყობს წარმოსადეგობის დარღვევა ან ხერხემლის გაღუნვა.

### თქვენ როგორ გტკივათ?

**როდესაც დისკო ხდება უფრო ბრტყელი, მალები უახლოვდებიან ერთმანეთს. ამ დროს ხდება დაწეწკვა ნერვის ფესვებისა, რომლებიც ზურგის ტვინიდან გამოდიან, და ჩნდება ინტენსიური გამჭოლი ტკივილი. იგი მეტად დამახასიათებელია ოსტეოქონდროზის გამწვავებისთვის.**

თუმცა, სიტუაცია სხვაგვარადაც შეიძლება განვითარდეს. ნევროლოგები აღნიშნავენ, რომ ახლა სულ უფრო მეტი ხალხი უჩივის მკვეთრ და არა ყრუ, ტკივილს ზურგში, მუდმივი დისკომფორტის შეგრძნებას, რასაც თან ახლავს აკვიატებული სურვილი, შეიცვალოს პოზა. ასეთი სიმპტომები მიუთითებენ, რომ პრობლემა — ხერხემლის სახსრებშია.

სპეციალისტები მათ ფასეტურს უწოდებენ, ყოველ მალას ის ოთხი აქვს — ორი ზევიდან და ორი ქვემოდან. ისინი, როგორც მალათაშორისი დისკები, უზრუნველყოფენ ხერხემალს, ერთი მხრივ, სტაბილურობით, მეორე მხრივ — მოძრაობის უნარით. ამ სახსრების ხრტილები თუ ცვდებიან, ჩნდება სპონდილოარტრეზი, რომელიც იწვევს ყრუ ტკივილებს.

ხშირად ამ პროცესს წინ უსწრებს ოსტეოქონდროზი, როდესაც მალათაშორისი დისკო მკვრივდება, იცვლება სახსრების მდგომარეობაც, იზრდება მასზე დატვირთვა, და იგი სწრაფად ცვდება. მაგრამ ხშირად სპონდილოართროზის სიმპტომები ჩნდება უფრო ადრეც კი, ვიდრე ოსქტეოქონდროზი თავს გვაგრძნობინებდეს. ამიტომ ყრუ ტკივილისა და დისკომფორტის გაჩენის დროს უმალვე უნდა მივმართოთ ექიმს. ეს საშუალებას მოგვცემს, შევამციროთ ხერხემლის დაავადებათა გამწვავება, აგრეთვე თავიდან ავიცილოთ მათი გართულება — თიაქარი და მალათაშორისი დისკოს პროტრუზიები.

### ტკივილი რომ გაქრეს

**ოსტეოქონდროზისა და სპონდილოართროზის მკურნალობისთვის გამწვავების დროს შეიძლება გამოვიყენოთ პრეპარატები, რომლებიც ადუნებენ კუნთებს, ნოვოკაინური ბლოკადები, აგრეთვე, ნესტროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, რომლებიც ხსნიან ტკივილებს. თუ გამწვავება არაა — სხვაგვარია ტაქტიკა.** ამ პერიოდში პაციენტებს უნიშნავენ სპეციალურ სამკურნალო ვარჯიშებს, რომლებიც აუმჯობესებენ ხერხემლის სისხლით მომარაგებას და ხსნიან დისკომფორტს. ასევე თერაპიის აუცილებელი ნაწილია ქონდროპროექტორის პრეპარატები. ამ წამლების ძირითადი ამოცანაა — თავიდან აგვაცილოს ფასეტური სახსრებისა და მალათაშორისი დისკების შემდგომი ნგრევა. ქონდროპროტექტორები შეიცავენ ნივთიერებებს — ქონდროისტონსულფატსა და გლუკოზამინს, რომლებიც ხელს უწყობენ ხრტილებში სინესტის შეკავებას, კვებავენ მას, აძლიერებენ მის თვითაღდგენის პროცესებს. ამის წყალობით ოსტეოქონდროზი და სპონდილოართროზი იმ სტადიამდე ხდებიან „გაყინული“, სადამდეც მათ მოასწრეს განვითარება, არ ხდება მათი პროგრესირება. წამლის მიღების სქემას ექიმი განსაზღვრავს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კურსი იქნება ხანგრძლივი — არანაკლებ სამი თვისა შემდგომი შესვენებითა და მკურნალობის განმეორებით. ასეთი თერაპია საშუალებას გვაძლევს ხერხემლის პრობლემები კონტროლქვეშ გვქონდეს.

---

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ფერმწერი

**ზურაბ სამხარაძე**

ადრეულ წლებში იყო სამხატვრო აკადემიის პრორექტორი. ენერგიულ, გულისხმიერ აღმზრდელს სტუდენტების ცხოვრებაში მუდამ სიახლე შეჰქონდა. გატაცებით ესაუბრებოდა ხელოვნებაზე. მისი ნამუშევრები დაცულია სხვადასხვა ქალაქების მუზეუმებში. იშრომა, იღვაწა და ვალმოხდილი წავიდა საუფლოში ოთხმოცი წლისა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სინანულით ეთხოვება ბატონ ზურაბს, თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

---

გიორგი დუნდუა ოჯახით სამძიმარს უცხადებს ლილი და ზაურ თელიებს დისა და ცოლისდის

**ელენე გუგუშვილი-ფირცხალაიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს ლილი და ზაურ თელიებს დისა და ცოლისდის

**ელენე გუგუშვილი-ფირცხალაიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ნოდარ მეძმარიაშვილი, შვილები გიორგი, ალექსანდრე ოჯახებით, და ლიდია ონიშჩენკო, მაზლი ლერი მეძმარიაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გალინა ეგნატეს ასული**

**ონიშჩენკო-მეძმარიაშვილი**

პანაშვიდი 26, 27 IV, 17 სთ. დაკრძალვა 28 IV, 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 30 ა, ბ. 54.

---

გივი კვიჭიძე ოჯახით თანაუგრძნობს უახლოეს მეგობარს, ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილს მეუღლის

**გალინას**

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 27 IV, 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. №30ა.

---

ჯემალ გაგუნაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს უახლოეს მეგობარს, ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილს მეუღლის

**გალინას**

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 27 IV, 14 სთ. ვაჟა-ფშაველას 30ა.

---

**ალიან-ჩალიანი**

### „26 მაისს დიდი ეროვნული ზეიმი იქნება“

**ამის** შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა განუცხადა.

— ეს იქნება დიდი ეროვნული ზეიმი, რომელშიც მთავარი და წარმმართველი იქნება ის, რომ მთელი საქართველო ვზეიმობთ ერთად ამ დიდი სიამაყის დღეს, ამაში იქნება ჩართული ყველა. ეს იქნება დიდი თანხმობისა და ზეიმის დღე, — განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე დეტალების ზუსტდება და კონკრეტულად ვერაფერს იტყვის.

განათლების მინისტრი და ვიცე-პრემიერი გიორგი მარგველაშვილი ხელმძღვანელობს 26 მაისის ღონისძიებებისადმი მიძღვნილ კომისიას, რომელიც პრემიერ-მინისტრის ბრძანებულებით შეიქმნა.

### ერთი კვირა თბილი და უნალექო ამინდი იქნება

**27 აპრილიდან** ერთი კვირის განმავლობაში საქართველოში თბილი და უნალექო ამინდია მოსალოდნელი .

როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის თანამშრომელმა სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა, დღეიდან მთელს საქართველოში გამოიდარებს და დათბება. თუმცა, ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი 26 აპრილს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში.

27 აპრილიდან უნალექო ამინდები 3 მაისის ჩათვლით გაგრძელდება. შესაბამისად, ჰაერის ტემპერატურა ქვეყანაში 28 აპრილიდან მოიმატებს. დასავლეთ საქართველოში საშუალო ტემპერატურა 29 გრადუსი, აღმოსავლეთ საქართველოში — 22, ხოლო თბილისში 22-23 გრადუსი იქნება.

### დამატებითი რეისები - სააღდგომოდ

**როგორც** „ინტერპრენიუსს“ „საქართველოს რკინიგზიდან“ აცნობეს, სააღდგომო დღესასწაულებთან დაკავშირებით მგზავრთა ნაკადის მოსალოდნელი მატების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 1 მაისიდან თბილისი-ზუგდიდი-თბილისის მიმართულებით დამატებითი ჩქარი ელექტრომატარებელი დაინიშნება.

— აღნიშნული მატარებელი ქვეყნის დასავლეთ რეგიონს მოემსახურება და გაზრდილი მგზავრთნაკადის მომსახურებას სრულად უზრუნველყოფს. თბილისი-ზუგდიდი-თბილისის მიმართულებაზე ჩქარი ელექტრომატარებელი ზუგდიდის მიმართულებით გავა 08:45 საათზე და დანიშნულების სადგურში იქნება 14:15 საათზე. საპირისპირო მიმართულებით კი რეისს შეასრულებს 18:00 საათზე და თბილისში დაბრუნდება 23:25 საათზე, — აცხადებენ რკინიგზაში.

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№78. პარასკევი, 26 აპრილი, 2013 წელი.

## მართალია, რომ...

# ოქროს მირაქები

## როგორ მოქმედებს საიუველირო სამკაული განწყობილებაზე

**შეუძლია ოქროს, გაგვხადოს უფრო ბედნიერი თუ, პირიქით, ამ ლითონის სამკაულს მოაქვს მხოლოდ უსიამოვნება და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები?**

**ოქრო, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ამოუცნობი ლითონია. უხსოვარი დროიდან მას მისტიკურ თვისებებს მიაწერენ.**



**მართალია, რომ...**

**... ოქროს შეუძლია დროის განმავლობაში დაიჟანგოს და გამოყოს ქიმიური რეაქციის პროდუქტი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზმის კეთილდღეობაზე?**

**სინამდვილეში**

ოქრო არ იჟანგება. ის არის გარემობუნების ზემოქმედებისადმი ერთ-ერთი უკიდურესად მყარი ლითონი. ის არ ერთვება ურთიერთობაში არც ადამიანის ოფლთან, არც ჩვენი კანის მიერ გამოყოფილ ცხიმთან. ზიანი ჯანმრთელობისთვის შესაძლებელია მხოლოდ ერთ შემთხვევაში – თუ იყიდეთ და ატარებთ საეჭვო ხარისხის ოქროს სამკაულს.



მაშინ შეიძლება ვისაუბროთ ადამიანის განწყობილებაზე ნეგატიური გავლენის შესახებ.

**მართალია, რომ...**

**... ოქროს ბეჭედს ნერვული სისტემის არაკორექტულ მუშაობასთან მივყავართ? კერძოდ, ზიანდება ხელის თითებში ნერვული დაბოლოებანი.**

**სინამდვილეში**

ნერვული დაბოლოებანი აქ არაფერ შუაშია. შეიძლება დაირღვეს სისხლის მიმოქცევა. ისიც იმ პირობით, თუ ადამიანი ვიწრო ბეჭედს ატარებს. მიუხედავად ამისა, ორგანიზმს შეუძლია მიეჩვიოს ამგვარ დარღვევას, როდესაც ჩართავს ამისთვის შემგუებელ რეაქციებს. მაშინ თითში სისხლის მიმოქცევის დარღვევა არ არღვევს საერთო სისხლის მიმოქცევას.

სხვა საქმეა – ეგრეთ წოდებული „შეზრდილი" ბეჭედი, რომელსაც ადამიანი წლობით ატარებს, არ იხსნის და არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ სამკაული დიდი ხანია ვიწრო გახდა. ასეთი ბეჭედი შეიძლება ანთებითი ხასიათის დაავადების მიზეზი გახდეს. ზოგჯერ სისხლის მიმოქცევის დარღვევამ შეიძლება თითის ამპუტაციამდეც კი მიგვიყვანოს. ამიტომ არ ღირს „გავუნათესავდეთ" ბეჭედს, თუნდაც ძალიან ძვირფასსა და ახლობელს. გამოსავალია – მივიტანოთ იგი იუველირთან და გავაფართოოთ.

**მართალია, რომ...**

**... ოქრო სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებული ადამიანებისთვის? რომ იგი, რომელსაც აქვს აშკარად გამოხატული მატონიზირებელი ეფექტი, განსაკუთრებით სასარგებლოა, მაგალითად, ქალებისთვის ორმოცდახუთი წლის შემდეგ?**

**სინამდვილეში**

ოქრო ეგრეთ წოდებულ „მზის ლითონებს" მიეკუთვნება და აქვს გარკვეული მასტიმულირებელი ეფექტი. სხვა საქმეა, თუ ვისთვის არის სასარგებლო ოქროს სამკაული. და რა რაოდენობისა უნდა იყოს იგი ადამიანზე?

მაგალითად, ოქრო, როგორც წესი, არ უხდება დიდი მეგაპოლისების მცხოვრებლებს. მიზეზი – ქალაქის მცხოვრებთა ცენტრალური ნერვული სისტემის გადაჭარბებული აქტიურობაა. შედეგად აღგზნების ნებისმიერ დამატებით პროცესს მივყავართ უკუშედეგთან – დეპრესიის დამუხრუჭებასა და მდგომარეობასთან.

აქტიური ქალბატონები (მაგალითად, მეწარმეები, მმართველები) სულ უფრო ხშირად ეყრებიან სეზონურ საგაზაფხულო-საშემოდგომო დეპრესიებს. და კავშირი ოქროსთან არ შეიძლება პირდაპირი იყოს. ერთი მხრივ, ბევრისთვის ოქროს სამკაული არის როგორც სტატუსის და დრეს-კოდისაც კი ელემენტი. მეორე მხრივ – ეს სამკაული დიდი ოდენობით აღგზნების აშკარად გამოხატული დამატებითი მიზეზებია. ხელახალი გარდაქმნის პროცესს მივყავართ განვითარებულ დამუხრუჭებასთან ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. რასაც, თავის მხრივ, ორგანიზმში გაცვლითი პროცესების დაქვეითებასთან მივყავართ. შედეგად – დეპრესიაა.

დიდი ქალაქების მცხოვრებლებს უფრო უხდებათ ვერცხლი: იგი აწესრიგებს ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობას და ადამიანს უფრო გაწონასწორებულს ხდის.

**მართალია, რომ...**

**... ოქროს სამკაულმა შეიძლება ჰიპერტონიასა და ათეროსკლეროზთან მიგვიყვანოს?**

**სინამდვილეში**

ეს პრობლემები ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის აქტიურობაზე. თავისთავად ოქრო არ აუარესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას. ერთადერთი შეზღუდვაა: თუ ადამიანი ძალიან ემოციურია, მან ოქრო არ უნდა ატაროს. სხვათა შორის, ჰიპერტონიით დაავადებული ადამიანებისა და მათთვის, ვისაც აღგზნებითი ნერვული სისტემა აწუხებს, წითელი ქვები საწინააღმდეგოდ მაჩვენებელია. სწორედ ფერს აქვს გამაღიზიანებელი ზემოქმედების უნარი და არა ლითონის ან ქვის თვისებას. მაგალითად, „გამაღიზიანებელი" ფერის ციმციმი ეპილეფსიის დროს იწვევს დამბლებს. ოქროს ფერს აქვს მსგავსი რეაქციები. ამიტომ ცხადი მიზეზებისგან ყოველთვის უნდა გავაკეთოთ დასკვნები და არ გადავეშვათ „ალქიმიაში".

სხვათა შორის, ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი მთლიანად იპყრობენ მთელ ორგანიზმს და არა ცალკეულ ორგანოს ან სისტემას. ყველა სისტემური დაავადება კი არ შეიძლება იყოს გამოწვეული მხოლოდ ადგილობრივი ზემოქმედებით.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### უგულავამ 100-ლარიანი ვაუჩერის გაცემა შეაჩერა... და საარჩევნოდ გადაინახა



ამის შესახებ მოსახლეობა წინასწარ არავის გაუფრთხილებია. კომუნალური შეღავათი ისევე მოულოდნელად მოიხსნა, როგორც მისი დანიშვნა მოხდა. მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მამუკა ქაცარავას განცხადებით, 100-ლარიანი ვაუჩერიდან დარჩენილი 40 ლარი დედაქალაქში რეგისტრირებულ აბონენტებს ნოემბერსა და დეკემბერში დაერიცხებათ. ამან, რა თქმა უნდა, ბევრი თბილისელი გაანაწყენა. საკრებულოს წევრის ზაზა გაბუნიას თქმით, ვაუჩერის შეჩერება პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ პროცესებთან.

**„რეზონანსი"**

### ახალაიებისთვის გარანტიებს ითხოვენ

„**უფლებადამცველთა** გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე მიიჩნევს, რომ შს მინისტრისა და მთავარი პროკურორის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი დათა ახალაიასთან თანამშრომლობას არ გამორიცხავენ, მკაფიო პოზიცია არ არის და ხელისუფლებამ დათა ახალაიას უფრო კონკრეტული გარანტიები უნდა მისცეს. როგორც მჟავანაძემ განაცხადა, ფაქტია, რომ ახალაიები გაწირეს და „ნაციონალურ მოძრაობას" სურს, ამ ორ ადამიანს შეაწმინდოს ხელი. „ეს ადამიანი და ბაჩანა ახალაია, ფაქტიურად, ოქროს მოწმეები არიან, ისინი არიან გარანტია გახმაურებული საქმეების გახსნისა, რაც ფაქტიურად, დაასამარებს „ნაცმოძრაობას", – აცხადებს მჟავანაძე.

**„ალია"**

### უმერო ქუთაისი

**ამ** ეტაპზე ქუთაისს ოფიციალურად მერი არა ჰყავს, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამას დიდ პრობლემად არ აღიქვამს, რადგან ქუთაისის მერის თანამდებობა საქმის კეთებასთან კი არა, არამედ ხელფასის აღებასთან და მმართველი პარტიის რუპორობასთან ასოცირდება. მოქალაქეები მოითხოვენ, რომ თვითმმართველი ქალაქების პირველი პირის თანამდებობა არჩევითი უნდა იყოს, რომელიც, პირველ რიგში, პასუხისმგებელი იქნება ამომრჩევლის და არა პარტიების წინაშე, – ამბობენ ქუთათურები.

**„ახალი თაობა"**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**გამოცანა:** რა არის ის, რაც 15 სანტიმეტრი სიგრძისაა, აქვს საკუთარი თავი და მოსწონს ყველა ქალს?

პასუხი: 50-დოლარიანი კუპიურა.

* * *

– **რატომ** აქვს გორილას ასეთი დიდი ნესტოები?

– იმიტომ, რომ დიდი, სქელი თითები აქვს.



* * *

**მამაკაცის** ზრდის სამი სტადია:

1. მას სჯერა თოვლის ბაბუის არსებობა.
2. მას არ სჯერა თოვლის ბაბუის არსებობა.
3. ის თვითონ არის თოვლის ბაბუა.

* * *

**დღეს** ნამდვილი ტრაგედია გვაქვს... ჩვენს მრავალსართულიან კორპუსში გასკდა კანალიზაციის მილი, რის გამოც წყლით დაიფარა ელექტროენერგიის გამანაწილებელი ფარი, რამაც დენი გათიშა. ამ დროს კი ლიფტში იყვნენ მელიფტე, სანტექნიკოსი და ელექტრიკოსი...

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com